ოთხშაბათი, 18 მარტი 1925 წ. ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘ

№ 5 (28) გაზ. კომუნისტი-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 5 (28)

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘ

1) **ვერმერშ**, გაზეთის რედაქტორი, გაუსამართლებლად მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 2) **ლიუსიენ-ეუენ ვარლენ**, მუშა, კომუნის წევრი, დახვრეტილ იქნა 1871 წ. მაისის 28-ს; 3) **ბენუა მალონ**, სოციალიზმის თეორეტიკოსი, წევრი კომუნისა, მიუსაჯეს უვადო დაპატიმრება და გადასახლება; 4) **ჟიულ ვალლეს**, გაზეთის რედაქტორი და კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 5) **გენერალი ლიუ ლიე**, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 6) **ჟურდ ფრანსუა**, კომუნის წევრი, გადასახლებული იქნა ახალ კალედონიაში; 7) **გენერალი ედი**, სამხედრო საქმის რწმუნებული, მიუსაჯეს 20 წლის კატორღა; 8) **პასკალ გრუსე**, გაზეთის რედაქტორი და კომუნის წევრი, მიუსაჯეს დაპატიმრება და გადასახლება; 9) **იზაბელა რეტიფ**, კომუნარი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 10) **გონტენზია დავიდ**, კომუნარი, არტილერისტი—დამმიზნებელი, მიუსაჯეს გადასახლება; 11) **კლარა ფრუნიე**, კომუნარი, არტილერისტი—დამმიზნებელი; 12) **ქრისტინა დ'რუან**, კანონირი ბარიკადა-პორტმაირზე; 13) **ვალიან**, კომუნის წევრი, სახალხო განათლების საქმის რწმუნებული, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 14) **ელიზე რეკლიუ**, ცნობილი გეოგრაფი და ანარქიზმის თეორეტიკოსი, ნაციონალური გვარდიის ჯარის კაცი, მიუსაჯეს გადასახლება; 15) **ფრანკელი**, კომუნის წევრი, შრომისა და გაცვლის განყოფილების რწმუნებული, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 16) **გენერალი ბერჟერე**, კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 17) **როხელი**, სამხედრო საქმის რწმუნებული, დახვრეტილ იქნა; 18) **გასტონ კრემიე**, მარსელის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე, დახვრეტილ იქნა; 19) **რაულ რიგო**, კომუნის წევრი, დახვრეტილ იქნა 1871 წლის, მარტის 24-ს; 20) **ბერნერი**, ბატარეის უფროსი; 21) **კატერინა ოლივიე**, მიუსაჯეს გადასახლება; 22) **გაიარი**, შინაგანი თავდაცვის უფროსი, მიუსაჯეს დაპატიმრება და გადასახლება; 23) **გენერალი ლია-ხესილია**, კომუნის ერთი გამოჩენილი ოფიცერთაგანი, მიუსაჯეს ციხე და გადასახლება; 24) **გუსტავ მაროტო**, გაზეთის რედაქტორი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 25) **ვერდაგერი**, აჯანყების ერთი მონაწილეთაგანი დახვრიტეს; 26) **ჟიულ მეო**, კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 27) **ლუიზა მიშელ**; 28) **პუატიე**, კომუნის წევრი, მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; 29) **ტონი მუალენ**, გამოჩენილი დოსტოქარი, დახვრიტეს.

პარიზის კომუნა

(მოთხრობა)

I. გაუმარჯოს კომუნას!

სძინავს უზარმარ ქალაქს პარიზს, მსოფლიო პარიზს.

სძინავს უზრუნველად თავისი განაპირა ქოხ-მახეებით, სადაც ათასობით მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, დღიური შრომით დაქანცულნი, მძიმედ ხვრინავენ, ასვენებდენ სხეულს, რომ მეორე დღეს კვლავ შეუდგნენ შრომას.

აქა-იქ კი ჩუმი მზადებაა. საიდუმლო კრებებია.

დილით ადრე შუა ქალაქში უცებ გაისმა მსოფლიო ბურჟუაზიისათვის თავზარდამცემი ძახილი:

—„გაუმარჯოს კომუნას!“

ელდანაცემი ბურჟუაზია სწრაფად წამოიჭრა თბილი ლოგინიდან.

შიშით და კრძალვით გადახედა ქუჩას, სადაც დაინახა საშინელი სანახავი—მწყობრად დარაზმული პროლეტარიატი, პრიალა იარაღით შეიარაღებული.

თავზარდაცემული ბურჟუები საგონებელში ჩაცვივდნენ.

ქუჩა კი გრგვინავდა...

გაუმარჯოს კომუნას!—კვლავ გაისმა მქუხარე ხმა კომუნართა, მოედო პარიზის ქუჩა-მოედნებს და ქუხილით შეიპრა მაშვრალთ, მძიმე შრომის შვილთა უბნებში.

პარიზის პროლეტარიატი ფეხზე დადგა, დაეუფლა ქალაქ პარიზს.

ბურჟუაზიული მთავრობა ვერსალში გაიხიზნა და დაიწყო მუშაობა...

პარიზიდან განდევნილი ბურჟუაზია გაფაციცებით ემზადებოდა პარიზის კომუნართა გასანადგურებლად...

კომუნართა გამარჯვების ორითვის შემდეგ პარიზელებმა შეიტყვეს, რომ მათ გასანადგურებლად მოდიან ვერსალიდან სისხლის მსმელ ბურჟუაზიის ჯალათები—ტიერი და ღენერალი გალიფე.

მოდიან დიდი ჯარით, რომ შური იძიონ და სისხლში ჩაღრჩონ მუშა-კომუნარები...

II. ჯალათები მოდიან!

— ამხანაგებო!—გაისმა კომუნართა შორის: —ჩვენი ჯალათები მოდიან შურის საძიებლად! დაიარაზმენით!

— ამხანაგებო! ჩვენ შეცდომა ჩავიდინეთ!

— იძახის ერთი კომუნარი.

— რითი?

— მითი, რომ ჩვენ დავამარცხეთ ბურჟუზია, დავეუფლეთ საფრანგეთის ცენტრს, მაგრამ ამავე დროს დამარცხებულ ბურჟუაზიას არ წავართვით ქონება, სიმდიდრე, არ გავდევნეთ ვერსალიდან და ამით მას საშუალება მივეცით ძალა მოეკრიფა და ჩვენზე შური ეძია!..

— წასულ საქმეს ვერაფერს ვუშველით. ერთიღა დაგვრჩენია—ავისხათ იარაღი და შევებრძოლოთ ჩვენს მტრებს...

ითქვა და აღსრულდა.

კომუნისთვის თავდადებული გმირები ერთგულად დაირაზმენ და შეუტიეს მათ მოსისხლე მტერს.

შეიქნა სასტიკი ბრძოლა ერთის მხრით საერთო საქმისათვის თავდადებულ გმირ კომუნართა და მეორე მხრით მშრომელი ხალხის მჩაგვრელ-მძარცველთა შორის...

დამარცხდნენ ბრძოლისათვის მოუმზადებელი მცირერიცხოვანი კომუნარები...

პარიზის ქუჩა-მოედნები სისხლით ღორღწყო;

შურისძიებით გაბოროტებულმა ბურჟუაზიამ საშინელი სიმხეცე და მტარვალობა გამოიჩინა. მიუსია თავისი ურდოები და ერთი კვირის განმავლობაში ორმოცდაათი ათასი კომუნარი ამოსწყვიტეს...

— არ დაინდოთ არც ერთი კომუნარი, არც მათი მშობლები და არც ცოლ შვილი!—იყო ბრძანება.

და გამხეცებული ურდოებიც ცინიკურად ნადირობდენ ჩაგრულ კაცობრიობისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულ კომუნარებზე, მათ დედებზე, მათ ცოლებზე და შვილებზე, პატარა, უსუსურ ბავშებზე...

III. ტიერი იცინის.

ქუჩაში ყრიან დახოცილი მუშები.

ჭირისუფალი არავინ ჰყავთ.

ჭირისუფალთა მაგიერ თავს დასდგომია ჯალათი ტიერი და გულიანათ ხითხითებს...

ტიერი იცინის...

ტიერი დასცინის დამარცხებულ კომუნარეებს...

ქუჩის ბოლოდან უცებ მოისმა საშინელი კივილი.

ორ ჯარისკაცს გაკავებული მოჰყავთ ახალგაზრდა, თმაგაწეწილი დედაკაცი, მესამე უკანიდან თოფის კონდახით ურტყამს და სჯგვლემს.

— ჯალათებო! ჯალათებო!—გაჰკივის გამწარებული, ბრძოლაში ტანისამოს შემოდღლეზილი ლუიზა.

— ხი... ხი... ხი.. ეგ ვინ არის!—იკითხა ტიერმა.

— მე კომუნარ გასტონის ცოლი ვარ, ლუიზა, ოთხი შვილის დედა...—უპასუხებს ქალი: —ახლა, ამ საათში ამ ჯარისკაცებმა ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭეში გამაუპატიურეს და სადღაც მივყევარ... არ ვიცი, სადა..

— ხი... ხი... ხი...—გესლიანად გაიხითხითა ტიერმა:—დიდი ამბავი მომხდარა!... ამ ჯარისკაცების ფრჩხილი მირჩევნია ათას შენი ქმრისთანას... ჯარისკაცნო, წაიყვანეთ ეს დედაკაცი, თქვენთვის მიჩუქებია და მანამდე გყვანდეთ, სანამ მოგეწყინებათ!...

— ჯალათო! უსინიდისო ჯალათო!—შესძახა ლუიზამ და შიგ პირში მიაფურთხა ტიერს.

— მოჰკალით! შესძახა გააფთრებულმა ტიერმა და იქ დაყრილ უპატრონო მკვდრებს ერთი მკვდარიც მიემატა—თავგაჩეხილი ლუიზა ზედ გულზე დაეცა გულაღმა გდებულ მკვდარს, ქერა კომუნარს.

ეს იყო მისი ქმარი გასტონი, ხელობით ზეინკალი.

— ცოცხალია... ჰფეთქავს!—სთქვა ტიერმა: —მოჰკალით!...

ჯარისკაცმა მაგრად კონდახი დასცხო ზურგში ცოცხალ-მკვდარ ლუიზას, შემდეგ შეაბრუნა თოფი და ხიშტი გაუყარა ზურგში.

ტიერმა კმაყოფილებით გადიხითხითა და მოშორდა მკვდრებს.

IV. წმ. იაკობის მოედანზე.

დაღამდა. წმ. იაკობის მოედანი სიბნელემ მოიცვა. ახლო-მახლო მცხოვრებთა ფანჯრებიდან სინათლე გამოჭკრთის.

ჯერ ისევ სინათლე იყო, როდესაც ამ მოედანზე დახოცილი კომუნარები დამარხეს ხელდახელ გათხრილ თხრილებში.

მცხოვრებნი ნერვიანობდნენ. დიდხანს არ ეძინებოდათ. დღისით ნახული სურათები მათ ძილს უფრთხობდა.

ბოლოს, როგორც იყო, დაეძინათ, მაგრამ ბევრ ხანს არ სძინებიათ.

ნაშუაღამევს წმ. იაკობის მოედანზე მცხოვრებნი გამოაღვიძა საზარელმა გმინვამ.

ყველანი ფეხზე წამოიჭრენ. ყველა სმენად იქცა.

ზოგიერთი მცხოვრებნი გარეთ გიმოვიდნენ, რომ გაეგოთ, თუ რაშია საქმე.

გამოირკვა, რომ ტიერის ჯალათების მიერ დახოცილი და თხრილებში დაფლული კომუნარები ყველანი არ იყვნენ დახოცილები და ზოგი მათგანი ცოცხლად დაეფლათ.

ნაშუაღამევს, როდესაც შესწყდა ყოველგვარი მოძრაობა და მიწყნარდა ყველაფერი, მკაფიოდ გაისმა ცოცხლად დამარხულთა გმინვა...

შიშით და კრძალვით მიუახლოვდნენ დამარხულთ ორნი ამხანაგნი.

მიახლოვებისათანავე მათ თვალწინ წარმოუდგათ საშინელი სურათი—ცოცხლად დაფლულთ მიწიდან ამოეყოთ ზოგს ხელი და ზოგს ფეხი...

— ხედავ, რაულ?!—ჰკითხა ერთმა ამხანაგმა მეორეს.

— ჩუმად, ჟან, ჩუმად, არავინ გაიგოს ჩვენი აქ ყოფნა!—კანკალით მიუგო მეორემ:—ვიღაცები მოდიან...

ორივენი გაყუჩდნენ.

შორიახლო მოდიოდა ოთხი ჯარისკაცი და მხიარულად ხითხითებდნენ.

— ოო, რა გოგო იყო, რა გოგო!—ამბობდა ერთი მათგანი—რაც კომუნარებზე ნადირობა დავიწყეთ, ჯერ მაგისთანა გოგო არ მიმიხუტნია გულზე!.. ბევრი მეხვეწა—მოხუც მამას ნუ მომიკლავთ, ყველაფერს, თვით ჩემს ქალწულობას, შენ შემოგწირავო; მეხვეოდა, მკოცნიდა, მკოცნიდა მწვავე კოცნით... მოხუცი მამა კი კანკალით შემოგვცქეროდა...

— მერე, მერე?—ჰკითხეს ამხანაგებმა და გულიანად გადიხარხარეს.

— ვისარგებლე ჯოხტა გოგონას მდგომარეობით და მთელი ორი საათი ვსტკბებოდი მისი უმანკო მშვენიერი სხეულით...

— მერე კვლავ ჰკითხეს ამხანაგებმა.

— მერე, ჩვენ ხომ ნაბრძანები გვაქვს არც

ერთი კომუნარი არ დაზოგოთო... და ის მოუცი მუშა კი კომუნარი იყო...

— მოჰკალი?!

— რომ არ მომეკლა, ეს ხომ ბრძანების დარღვევა იქნებოდა!

— ქალი რაღა იქნა?

— ქალიც მამას გავაყოლე...

— ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ!—შეაქვს კაცის მკვლელი და სიცილ-ხარხარით მიიმალნენ ღამის სიბნელეში.

V. ჟანი და რაული.

ნახულ-გაგონილით შეძრწუნებული ამხანაგები—ჟანი და რაული ჩუმად დაბრუნდნენ სახლში.

— ისე, როგორ უნდა გამხეცდეს კაცი, რომ ასეთი საქმე ჩაიდინოს, რაც იმ ჯარის კაცს ჩაუდენია, გზაში რომ უამბობდა ამხანაგებს!—გულდაწყვეტილი სთქვა რაულმა და მოწყვეტილივით დაეშვა სკამზე.

— არა უშავს, რაულ, როდესმე ჩვენც ვიდღესასწაულებთ გამარჯვებას ბურჟუაზიაზე! დეე დღეს მათ იდღესასწაულონ გამარჯვება, დეე ჭამონ ჩვენი ხორცი და დალიონ ჩვენი სისხლი! სთქვა ჟანმა და სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა.

მაგრამ რაულს არ გაუგია არაფერი. მთელი მისი ყურადღება კარებისკენ იყო მიქცეული.

— კარებს იქით რაღაც ხმაურობაა,—სთქვა რაულმა და მთლად სმენად იქცა.

— რა ამბავი?—იკითხა ჟანმა—იქნება აქაც მოგვხვდეს! ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ვიყოთ, რაულ, რომ თუ სიკვდილმა შემოიხედა, იაფათ არ დავუსვათ ჩვენი სიცოცხლე!

რაულს თქმა აღარ უნდოდა. ის უკვე მზად იყო საბრძოლველად. ორი რევოლვერი სარტყელში მზად ჰქონდა. ბრძოლაში გამორწრვთნილი კომუნარი კვლავ ემზადებოდა ჯალათებთან შესახვედრად.

ჟანმაც აისხა იარაღი.

ხმაურობამ იმატა.

გაისმა გულის გამგმირავი კივილი იქვე კარებთან.

— ოჰ!—წამოიძახა რაულმა: უბედურა ქრისტინაა, ლიუსენის ცოლი... მიჰყავთ... ჟან, გავიდეთ გარეთ...

— გარეთ გასვლა უგუნურებაა,—უთხრა ჟანმა,—სულ ერთია, ქრისტინას ჩვენ ვერაფერს ვუშველით; ხმაურობაზე ეტყობა, რომ ჯალათები ბლომად არიან, და მაგ ჯალათებს ჩვენ უნდა შევხდეთ აი აქ, ამ კარებთან!.. რამდენი ტყვიაც მაქვს, იმდენი სიკვდილი უნდა უძღვნა მათ!..

— ბარიკადა!—სთქვა რაულმა და რაც კი სახლში რამე ავეჯი გააჩნდათ, ყველაფერი კარებთან მიზიდეს.

ორიოდე წუთში ბარიკადა მზად იყო და ორივე ამხანაგი საბრძოლველად გამოწყობილნი იდგნენ ბარიკადასთან.

VI. ბარიკადასთან.

კარებს იქით ხმაურობა თანდათან ძლიერდებოდა.

მეორე ოთახში მძინარე რაულის თხუთმეტი წლის ქალს გენრიეტას გამოეღვიძა და მამასთან მიიჭრა.

— რა ამბავია, მამა?—ჰკითხავდა შეშინებული გენრიეტა.

— არაფერი,—შვილო, არაფერია, აი პოლიციელები ნადირობენ მუშებზე, სხვა არაფერი,—წყნარად მიუგო რაულმა.

გენრიეტას თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა და მამას შეხედა. მის თვალებში საშინელი სასოწარკვეთილება გამოიხატა. მან უკვე იცოდა, რა უბედურებაც მოელოდა მას...

— წადი მეორე ოთახში, აქ ხელს ნუ მიშლი!—უთხრა რაულმა და თავზე აკოცა.

გენრიეტა ორი ნაბიჯით მოსცილდა მამას და გულმხურვალედ დაიწყო ლოცვა; ღმერთს შველას სთხოვდა.

კარები მძლავრად დააბრახუნა ვიღაცამ. ყველანი შეკრთნენ. გენრიეტამ ლოცვა შესწყვიტა და კანკალით მიაჩერდა კარებს.

— მშვიდობით, ჟან!—სთქვა რაულმა და ხელი გაუწოდა.

ჟანი მამაცურად წარუდგა რაულს წინ და გაწვდილი ხელი ჩამოართვა.

— ძვირფასო ჟან, მეგობარო ჟან,—განაგრძო რაულმა,—ჩვენ ვმუშაობდით ერთად ქარხანაში, ვიბრძოდით ჩვენ მტრებთან და სიკვდილიც ერთად მოგველის, ერთად უნდა დავიხოცოთ აი ამ ბარიკადასთან! გახსოვდეს მოვალეობა კომუნარისა!

მახსოვს და მზადაც ვარ ყოველგვარ შემთხვევისათვის!—უთხრა ჟანმა და ამხანაგებმა ერთმანეთს მხურვალედ გადაჰკოცნეს.

შემდეგ რაული მიუბრუნდა ქალს და მხურვალედ ჩაიკრა გულში.

— გენრიეტა,—მიჰმართა წყნარად,—გახსოვს წიგნში წაკითხული ამბავი, თუ როგორ იხოცებოდენ გმირები მტერთან ბრძოლაში?

— მახსოვს. მამა!—მიუგო ქალმა.

— ამ საათში ჩვენ აქ სიკვდილი მოგველის და სამივენი უნდა დავიხოცნეთ გმირულად! არ შეგეშინდეს არაფრის, შენც გმირულად მიეგებე სიკვდილს, ისე, როგორც შეჰფერის კომუნარის შვილს!..

ჰენრიეტა სდუმდა.

—კარები გააღეთ!—დაიძახა ვიღაცამ და წინანდელზე უფრო მძლავრად დააბრახუნა. ეტყობოდა, რომ თოფის კონდახით აბრახუნებდა ვიღაც.

—ორ წუთს ვადას გაძლევთ, თუ არა და კარებს დავამტვრევთ.

VII. ბრძოლა.

ჟან და რაული ერთგულად დგანან თავის ბარიკადასთან და ელიან მტრის შემოჭრას მზად არიან.

გენრიეტაც ელის...

ბუხრის გვერდით კედელზე სახრჩობელა მოიმზადა და ელის... ჯალათებს ელის.

რამდენიმე კონდახი მძლავრად სცემს კარებს.

უცებ გაიღო კარები და გამოჩნდა რამდენიმე გალეშილი ჯარისკაცი.

ამშვავდენ რაულის და ჟანის რევოლვერები...

რამდენიმე ჯარისკაცი უკვე მზად არის—გაემგზავრნენ საიქიოს პარიზის, შავბნელ პარიზის, ამბავის მისატანად...

ჯარისკაცნიც ისვრიან.

ბრძოლაა გამწვავებული.

გმირულად მებრძოლი ჟანი განგმირული დაეცა ბარიკადასთან. მარცხენა მკლავსა და თეძოში დაჭრილი რაული განაგრძობს ბრძოლას.

წინ!—დაიძახა ვიღაცამ და ეცნენ ბარიკადას.

გაარღვიეს იგი და გააფთრებული ეცნენ რაულს.

—ჰაი, შე ძაღლო შენა!—შესძახეს და ხელები შეუკრეს.

—ძაღლი კი არა მე ვარ კომუნარი მუშა, მებრძოლი უსამართლობის წინააღმდეგ და დამცველი საერთო საქმისა:—ხმამაღლა შესძახა რაულმა:—ჯალათებო! ხალხის მტრებო!

— კომუნარი,—ჩაიცინა ერთმა ჯალათთას განმა და მუშტი მიუტანა პირთან—აი კომუნარი! ჩვენ აწი ვნახოთ, რაც კომუნარი ხარ... ყოვლის უწინარეს,—განაგრძობდა დაცინვას,—მაქვს პატივი გაგეცნოთ: საფრანგეთის ჯარის ოფიცერი და საფრანგეთის ჯარისკაცნი...

— საფრანგეთის მშრომელი ხალხის ჯალათები!—შესძახა რაულმა და პირში მიაფურთხა.

გააფთრებულმა ოფიცერმა ხმლის ყუით დაჰკრა თავში და გარეტიანებული რაული იქვე ჩაჯდა.

— ჯარისკაცნო! უნდა გავასამართლოთ ჩვენებურად ეს ჩერჩეტი კომუნარი!—უბრძანა ოფიცერმა და დაიწყო გასამართლება.

— ბატონო ოფიცერო, აგერ კუთხეში გულწასული ქალი გდია!—მოახსენა ერთმა ჯარის კაცმა.

ოფიცერი მივიდა ახლო და რა ნახა მშვენიერი გენრიეტა, ეშმაკურად გაიღიმა.

— მოასულიერეთ, გავიგოთ ვინ არის და მერე გავასამართლოთ; კომუნარის ბარტყი იქნება!—სთქვა ოფიცერმა და მივიდა რაულთან, რომელიც უკვე მოდიოდა ცნობაზე.

VIII. გაწყვეტილი სალრჩობელა.

იმ დროს, როდესაც „ძლევამოსილი“ ჯარისკაცები შეიჭრენ რაულის ბინაში და ხელი სტაცეს მას, გენრიეტამ წინასწარ მომზადებულ სალრჩობელასთან დადგა ყუთი, შესდგა ზედ, გაჭყო ყულფში თავი და ჩამოეკიდა საჩქაროდ, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, გაწყდა თოკი და ძირს დაცემის დროს ისე მაგრად დაჭკრა თავი ბუხრის ნაპირს, რომ ცნობა დაეკარგა.

ამგვარად, მას ვერ აუსრულდა სურვილი, რომ ცოცხლად არ ჩავარდნოდა მტერს ხელში.

ჭრილობებისგან დასუსტებულ რაული სკამზე მაგრა დააკრეს. მის წინ დასდგეს ტახტი და ცნობამიხდილი გენრიეტა სულ მთლად გაშიშვლებული ზედ დააწვინეს გულდაღმა.

— ვიწყებ გასამართლებას!—სთქვა ოფიცერმა და შიშველ გენრიეტას წვერზე გამოიჭიმა.

გამხეცებული ჯარისკაცები შიშველა ქალის დანახვაზე უფრო გამხეცდნენ.

რაული გაქვავებული იდგა.

— ქალო, გონს მოდი,—უთხრა ოფიცერმა და დანთებული პაპიროსი ძუძუს წვერზე მიადო.

ქალი გაინძრა, თვალები გაახილა და იქაურობას მიავლ-მოავლო.

— მამა! მამა! საყვარელო მამა!—შესძახა

დახოცილი კომუნარები

პარიზის კომუნა

აჯანყდა პარიზი, ნგრევა და ღელვაა,
ბობოქრობს ქარი და ელვაა, ელვაა!..
ჩამოწვა თავ-ზარი,
შეინძრა მთა-ბარი...
მოედო მთელ-პარიზს
გუგუნი, ხმა-ზარის—
რისხვას ვერ გაუძლეს,—გარბიან გალიფე,
ტიერ თვის ამალით. დაუდგათ შავი დღე...
დროშებით მოფინეს პარიზის ქუჩები—
ცის, მიწის ღიმილით სტკბებიან მუშები.

—

მაგრამ გალიფე, კრული გალიფე
მოდის ბნელეთით თავ-აშვებული,
მზე სისხლს აწვიმებს—დგება სისხლის დღე..
ღელავს პარიზი აჯანყებული.
პარიზს არტყია ბნელი სარტყელი,
ქუჩებს ქსელავენ ბარიკადებით,
მოიწევს ღამე, ებრძვის ნათელი,
ზღვა-შრომის შვილთა მძლე თავ-დადებით.
ვერსალი პარიზს შემოესია—
მის წინ ამხედრნენ გმირი ქალები;
ჰო იზაბელა და გონტენზია
ეომებიან მტერს ყუმბარებით...
პარიზი სისხლში შფოთავს, ბანაობს,
მზეს დასცინიან ბნელი ძალები.
დროშა წითელი ფრთებს შლის, ქანაობს
ქედს არ იხრიან კომუნარები...

—

მოდის ბნელეთი... გამარჯვებულმა
ჩამოკრა ზარი შურისძიების,
ქალაქმა ტანჯვით აჯანყებულმა—
იგემა ტანჯვა თავის შვილების—
პარიზი სისხლის ქაფში ბანაობს,
დგანან ლეშების ბარიკადები,
დროშა წითელი არსად ქანაობს—
სავსეა ციხე განაწამებით...
მოდის გალიფე ჯალათი დიდი,
დიდ სათარეშოთ მომზადებული,
სასაკლაოს წინ ხალისით იგი—
შესდგა რევოლვერ ამოღებული—
და ჩამორეკა დარაჯმა ღამის
უცებ თარეშის ნიშნად ზარები,
გადაიშალა სურათი ტანჯვის
სცვივა, და სცვივა კომუნარები...
ავიდა „გმირი“ ლეშთა გორებზე,
ეს ნადირობა ტიერს ახარა,—
აფრინდა ტიერ ღამის მორევზე
და გულზვიადად გადიხარხარა...

—

ჰოი, პარიზო გამძღარო ლეშით!
კომუნარებზე ნადირობ დღესაც,—
როგორც ტიერი იცინი ეშხით,
ღამის თვალებით აბრმავებ მზესაც...
მაგრამ მსოფლიო მზის ყუმბარებით
თავს წამოგატყდა დაუძლეველი,
შენ გადაგრეცხავს სისხლის ღვარებით
და ინტარებს იქაც შურმელი...
პარიზი მოსკოვს გადასცემს სალამს,
ზღვა ინტარებს, იტირებს თარსი,
მზე კომუნარებს ახარებს ამას—
აღსდგება ლენინ! აღსდგება მარქსი!

ფ. ნაროუშვილი.

უცებ გონს მოსულმა გენრიეტამ და მივარდა მამას მოსახვევად.

ოფიცერმა უხეშად მოაცილა და სიცილით უთხრა:

— გონს მოდი, მამასი აღარ ხარ, ახლა ჩვენი ხარ; ჯერ ჩემი და მერე ამ ჩემი ჯარისკაცებისა!

IX. მადონა! მადონა!..

— ოო, მადონა! მადონა! *) დამიხსენ ამ შხამიან გველთაგან!—მაღლა აპყრობილი ხელებით გულმხურვალედ შესთხოვდა სასოწარკვეთილი, განწირული გენრიეტა, მაგრამ მადონას მისი არაფერი ესმოდა.

— რა მშვენიერი სხეულია!—სთქვა ოფიცერმა და კმაყოფილებით შესცქეროდა ქალის ბროლივით თეთრ ტანს.

— მადონა! მადონა!—განაგრძობდა ლოცვას ქალი და თან უმედოდ აქეთ იქით იყურებოდა.

— ჯარისკაცნო, თქვენ გადით მეორე ოთახში, მე მინდა ამ მშვენიერ გოგონას მოველაპარაკო უთქვენოდ... მერე კი თქვენ დაგითმობთ...

ჯარისკაცები მორჩილად გავიდნენ მეორე ოთახში და იქიდან ჩუმჩუმად იქვრიტებოდნენ.

ოფიცერმა იარაღი აიხსნა, ზედა ტანისამოსი გაიხადა და დაცინვით მიჰმართა რაულს:

— ბატონო კომუნარო! თქვენ ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, რომ მე და ჩემმა ჯარისკაცებმა ერთი-ორი საათით მოვისვენოთ შენს ლამაზ ქალთან?..

— წყეული იყავით შენც და შენი ჯარისკაცებიც!—ამოიკვნესა რაულმა.

ოფიცერმა გულიანად გადიხარხარა და ფანჯარა გამოაღო.

— ხომ არ გცივათ, ბატონო კომუნარო?—განაგრძობდა ოფიცერი დაცინვას:—ცოტა სუფთა ჰაერით ამოისუნთქეთ...

ერთი თვალის დახამხამებაში გენრიეტა უცებ ღია ფანჯარაში გაჩნდა.

— მშვიდობით, მამა! მე ვკვდები ნამუს-დაცული!—შესძახა მან და, ვიდრე ოფიცერი გონს მოვიდოდა, თავდაყირა გადაეშვა მეოთხე სართულის სიმაღლიდან..

რაული კმაყოფილი დარჩა პატარა გენრიეტას ასეთი გმირობით.

— ჯარისკაცნო!—დაიძახა გაბრაზებულმა ოფიცერმა:—ხიშტებზე ააგეთ ეს მხეცი და გადააგდეთ ქუჩაში!

მეორე ოთახიდან სწრაფად გამოცვივდნენ ჯარისკაცნი და რაული ხიშტებით ჰაერში ასწიეს.

— გაუმარჯოს კომუნას!—შეიძახა რაულმა და სული განუტევა.

— გადააგდეთ ქუჩაში!—შეჰყვირა გაცოფებულმა ოფიცერმა და რაული გადაუშვეს იმავე ფანჯრიდან, რომლიდანაც გადავარდა გენრიეტა.

ოფიცერი და ჯარისკაცნი დარჩნენ პირში ჩალა გამოვლებული,

X. ორი გვამი.

გათენდა დილა.

ამოძრავდა მთელი პარიზი.

აღმოსავლეთით თავი წამოჰყო მზემ და ოქროსფერი სხივები უხვად მოჰფინა კომუნართა სისხლით მორწყული ქალაქის ქუჩა-მოედნები.

საფრანგეთის ბურჟუაზია დღესასწაულობდა კომუნარებზე გამარჯვებას. ორი უსიცოცხლო გვამი კი უპატრონოდ ეყარა ოთხსართულიან სახლის ძირზე და სისხლში ცურაობდა.

ვიღაც მადლიანს ჭილოფის ნაგლეჯით დაეფარა შიშველა ქალის ნამუსი.

ესენი იყვნენ კომუნისთვის თავდადებული მამა-შვილი—რაული და გენრიეტა...

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

*) ღვთისმშობელი.

კომუნარების პარიზში.

ყველა რევოლიუციურ აფეთქებაში პარიზის კომუნა წარმომიდგებოდა ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულ ვულკანათ.

მე არ მინდა ვილაპარაკო ამ ულამაზეს ნახტომის ისტორიაზე.

მის იდეიურ სიძლიერეს, რომელიც მხოლოდ წინამორბედი იყო კაცობრიობის მომავალი სრულყოფისა, ვინ ასწერს ისე მძლავრათ და მკაფიოთ, როგორც—არტურ არნუ!

მის რევოლიუციურ რაინდობას და სასოწარკვეთილ ბრძოლაში სისხლათ დაცლას ვინღა გადმოგვცემს ისეთის დადაღულის გრძნობით და ტრაგიზმით, როგორც—ლუზა მიშელ!

კომუნის მებრძოლ გმირების სახეებს ვინღა ჩამოჰკვეთს ისეთის სისწორით და კეთილშობილობით, როგორც—მარგერიტები!

მაგრამ მაინც მინდა რაღაცა ვსთქვა მასზე. და ეს რაღაც არის ნამსხვრევები იმ ფიქრებისა და შთაბეჭდილებისა, რომლებიც შექმნილან ჩემი ცხოვრების გზა-სავალზე „კომუნის“ ხსენებით.

რევოლიუციურ წიგნების თვალის გადავლებაში—ეს „პარიზის კომუნა“ სათაური იყო ხოლმე ანდამატივით რომ მიზიდავდა.

როცა მინატრია პარიზის ნახვა, ბასტილიისა და ელისეის ველებზე მეტათ მე მომსურნებია „პერლაშეზის“ სასაფლაოს ნახვა, სადაც დაახოცენ ვაჟკაცურათ კომუნის უკანასკნელი გმირები.

მირაბო, რობესპიერი, დანტონი, კამილ დემულენი, სანჟიუსტი!—ყველა ესენი ეფარებოდენ დელეკლიუზის ბრძოლის ქარცეცხლში დატრიალებულ პიროვნებას. ის მუდამ თვალწინ მიდგია უკანასკნელ ბარიკადებზე თავგანწირულათ მებრძოლი.

რაც უნდა სახალხო ბრძოლა იყვეს, მაინც მიყვარს რაინდული პიროვნებანი, ვისი ვაჟკაცობა და თავგანწირვაც განსაკუთრებით ელავს ათასობით ჩამქრალ სიცოცხლეში.

ამ გმირებს კი ვხედავ „კომუნის“ წითელ ხანძარში, რომელიც გრძელდებოდა სამოც და თერთმეტ დღეს, სამოცდა თერმეტ წელში.

* * *

კომუნის მეორმოცე წლის თავზე მოვხვედი **პარიზში.**

პარიზი და რევოლიუცია—ეს ერთად შეღუღებული მცნება იყო ჩემთვის.

პარიზი და კომუნა—ეს უკანასკნელი სახე იყო რევოლიუციისა, რომლის სიდიადესაც წინ ვეღარ ჩამოჰფარებოდა ვერც ერთი ისტორიული მოვლენა.

და პარიზის ყოველ ნიშანდობლივ ადგილებზე გავლისას ჩემ წინ წამოიჭრებოდენ კომუნის სხვადასხვა გმირები, რომელთაც—იდეა, ბრძოლა და სიცოცხლე—ისტორიის საამაყოთ შეაერთეს მთელ მშრომელ კაცობრიობის გამოსაფხიზლებელ დამარცხებაში.

აგერ რჩეულთა სასახლე—საფრანგეთის პანთეონი!

მაშ აქ იყო ვერსალის ჯალათებმა რომ დაჩოქეს კომუნარი **მილლიე** და მანამ შუბლს გაუგმირავდენ, უკანასკნელათ მაინც იძახდა—

გაუმარჯოს კაცობრიობას!

სხვადასხვა უცნობ ქუჩაზე როცა მივდივარ, მინდა გამოვიცნო, რომელი კუთხე იყო ის, სადაც სასიკვდილოთ დაჭრილი დაეცა კომუნარი **ფლურანსი.**

ბასტილიის მოედანი იყო, ან როკესი თუ სანტ-ანტუანის ქუჩა, სადაც სასოწარკვეთილ ბრძოლაში ძალით შეაკლა თავი იაროსლავ **დომბროვსკიმ,** რომ არ ენახა საკუთარი თვალით კომუნარების დამარცხება!

ვეძებ და ვერ გამომიცვნია: რომელ ქუჩის ფილაქანებზე დაეცა სასიკვდილოთ დაჭრილი **ოგიუსტ-ვერმორელი,** რომელსაც არ სწამდა გამარჯვება, მაგრამ მით უფრო თავგანწირული იყო იმისი ბრძოლა! რომელ ადგილს ავარიდო ფეხი, რომ პატივი ვსცე მის სასიკვდილო ადგილს!

ფობურგ სანტ-ანტუანის ქუჩა—ეს მწვავე ბრძოლათა ასპარეზი იყო. ძველ შენობათა კედლებში ვეძებ ტყვიის ნიშანს, რომ გამოვიცნო, თუ სად დახვრიტეს კედელზე გაკრული—**რაულ-რიგო.**

ვეძებ, მაგრამ ვერც იმ ადგილს ვპოულობ, თუ სად დაეცა მტრის ხელით—ინტერნაციონალის მედროშე მუშა—**ვარლენი!**

თვით პერლაშეზის სასაფლაოზე კი—მხოლოდ კვდრები არიან მოწმენი უკანასკნელ ბრძოლის საშინელებისა.

აგერ აღმოსავლეთის მუნჯი კედელიც!

მოწიწებით ქედსა ვხრი:

აქ დაეშვა უკანასკნელი დროშა კომუნარებისა!

აქ დაეცენ უკანასკნელნი მებრძოლნი კომუნისა!

მინდა გამოვიცნო:

ვინ იყვნენ?

რამდენი იყვნენ?

მაგრამ ქვიტკირის მაღალი კედელი მუნჯათ აჰფარებია იმათ ხსოვნას. მხოლოდ შავი გვირგვინი თანშეზრდილივით მიჰკვრია ფერ-დაღვრემილ ლოდებს.

ყველგან, ყოველთვის კი მომესმის სასიკვდილოთ განწირულ **ფერრერის** უკანასკნელი სიტყვები:

— ბედი ცვალებადია! მე მომავალს მივანდობ ჩემს ხსოვნას და ჩემს შურისძიებასო!

ცხრაას თერთმეტ, თორმეტ და ცამეტში დავესწარი კომუნარების წლის თავის აღნიშვნას.

ეს იყო ოცდა მეცხრამეტე, მეორმოცე და მეორმოცდაერთე წლის თავი.

შემდეგ მსოფლიო ომმა აღკვეთა ეს რევოლიუციური ტრადიცია და პარიზიც აღარ ჰგავდა ძველ მებრძოლ ლამაზ პარიზს.

დემოკრატიულ და თავისუფალ საფრანგეთში ყველა დემონსტრაცია აკრძალული იყო. მხოლოდ კომუნარების დღესასწაულს ჰქონდა ურყევლათ შენარჩუნებული თავისი უფლება. ამის აღკრძალვას 1914 წლამდის ჯერ ვერც ერთი მთავრობა ვერა ჰბედავდა.

როგორ მიყვარდა, როგორ შევხვაროდი ამ დემონსტრაციას!

მაისის უკანასკნელ კვირა დღეს მთელი რევოლიუციური პარიზი და მისი მიდამოები იქ იყრიდენ თავს.

ძირს შავ ზღვასავით ღელავდენ მუშათა რაზმები. მათ თავზე კი წითელ ქარაშხალივით დაფრიალებდენ მებრძოლი დროშები.

მიყვარდენ მათი პირველი პიონერები სებასტიან ფორკს „ლარუშში (სკაში) გაწვრთნილნი“

ინტერნაციონალის თავისუფალი გუგუნი ყოველთვის იქ გაისმოდა.

კომუნარების კედელი. სურათი გადაღებულია 1871 წლის მაისის 28-ს.

ლუიზა მიშელ.

შენ ტიტანი ხარ დიდ ამბოხების,
ქალი პოეტი, ქალი მხედარი,
საშიში რისხვა შავი დროების—
მტრის ბანაკებზე ნათავ-ხედარი!
მე მოწიწებით გეთაყვანები,
შენს სურათის წინ მუხლებს მოვიდრეკ,
და ისე, ისე გავთამამდები—
შმაგ ბრძოლის ხმაზე ზარებს ჩამოვრეკ.
შენს მოქმედებით განაოცარი,
შენი მიზნით ვარ გატაცებული...
ჰ ლუიზა მიშელ, ხარ საოცარი!
ქალი პოეტი, ცეცხლ-აგზნებული!..
შენ გეთაყვანა აღმოსავლეთი,
შენი სახელი ქარხნებს მოჰფინა...
პარიზში მაშვრალთ კვლავ თავ-საკვეთათ
დგას ისევ ისე გილიოტინა.
მაშვრალთ საქმე იქ სავალალოა,
მათ ვეღარ შველის „ქალი შიშველი“,
პარიზი ისევ სასაკლაოა
და არსად მოსჩანს ლუიზა მიშელ...
ლუიზა მიშელ დიდ ამბოხების,
ქალი პოეტი, ქალი მხედარი,
საშიში რისხვა შავი დროების—
მტრის ბანაკებზე ნათავხედარი!..

ფ. ნაროუშვილი.

მიყვარდენ ამ დემონსტრაციის ბელადებიც: პირველ რიგში ჩადგებოდა საფრანგეთის უდიდესი ტრიბუნი—**ჟან ჟორესი.**

მას ერთ მხარეს ამოუდგებოდა საფრანგეთის სწორ-უპოვარი მარქსისტი—**ჟილ გედი.**

მეორე მხარეს კი—ბლანკიზმის უკანასკნელი მებრძოლი და კომუნის ცოცხალი მედროშე—**ედუარდ ვალიანი.**

ეს სამება მიუძღოდა წინ და მას მისდევდა ათი ათასობით პარიზის მუშები.

ასე ჩაუვლიდენ „კომუნარების კედელს“.

იქ ვალიანს უნდა დაელაპარაკა ხმამაღლა ერთი მხრივ კომუნარებისა და მეორე მხრივ მომავალ მებრძოლთა სახელით.

ამასთან ერთად ხშირათ ჩაღდებოდა ჩოჩქოლი, პოლიციის ჩარევა, მიწევ-მოწევა და სასაფლაოს მეორე კარიდან კი იშლებოდა ზღვა ხალხი წარსულ ბრძოლათა ცოცხალი შთაბეჭდილებით.

—

1914 წელში ომის მოლოდინით შეშფოთებულმა საფრანგეთის მთავრობამ პირველათ გაბედა ამ დემონსტრაციის აკრძალვა.

აძას თან მიჰყვენ შემდეგი წლებიც.

1917 წელში მაისის უკანასკნელ კვირას, უკანასკნელათ გავიარე პერლაშეზის სასაფლაოზე.

ყველგან სიწყნარეა.

საფლავებ შორის გახვევ-გამოხვევით მიუახლოვდი კომუნარების კედელს.

ჩემ წინ ორი მუშა დავინახე—პარიზელი „ტერრასიე“—მიწის მუშები.

ხავერდის განიერ შარვლის ჯიბეში გრძლათ ჩაუწყვიათ ხელები და მიდიან მძიმე ნაბიჯით.

როცა მივიდენ იქ, მძიმეთ მოიხადეს ქუდი და ორთავემ ჩაილაპარაკეს.

—აი ეს არის კომუნარების კედელი!

შემდეგ წავიდენ.

მეც წავედი.

და ეს უკანასკნელი დემონსტრაცია, რომლის გარკვევა არ დასჭირებია პოლიციას, ყველაზე ღრმათ ჩარჩა ჩემს ხსოვნაში.

მას უკან გავიდენ წლები და ისევ მახსოვს.

ლეონარდო

ვ. პლეტნევი. თარგ. ვ. კობელის.

ფლენგო.

დრამატიული ეპიზოდი 2 მოქმედებათ.

ლიუსენ დეკავის მოთხრობით.

მოქმედნი პირნი:

მოქალაქე ტიებო—60 წლის მოხუცი, ყოფილი სამხედრო პირი, მსხვილი ძლიერი ფიგურა. გამუდმებით ჩიბუხით პირში.

მადლენა—ტიებოს მოსამსახურე 50 წლისა.

ადელინა—ნაშვილევი ქალი ტიებოსი.

ფლენგო ჟანი { ტიებოს შვილობილები 11-12 წ.

ოფიცერი—ვერსალის ჯარების ათასეულის უფროსი.

მოქალაქე ბრისბილ—მეეტლე

ქალი—(ანტრაქტში).

კომუნარები, ვერსალის არმიის ჯ.-კაცები.

მოქმედება სწარმოებს პარიზის კომუნის დაცემის დღეებში. I და II მოქმედებათა შორის გადის 1 დღე.

მოქმედება I.

სცენა: პატარა ოთახი ტიებოს სახლში. უბრალოდ, მაგრამ მყუდროდ მოწყობილი. უკანა კედელთან ბუხარი, მასთან მაგიდა. მადლენა ფუსფუსებს, არჩევს სანოვაგეს, მასთან ახლო 2-3 კალათი, ტომარა და სხვ. მოქალაქე ტიებო სდგას ფანჯარასთან და აბოლებს ჩიბუხიდან საშინლად მუქად და სქელად. მის ჩიბუხს კარგა მოგრძო მილი აქვს.—კაშკაშა მზიანი დღეა. დრო სადილობას მოტანებულია.

მადლენა.—მოქალაქე ტიებო, მე მსურდა გამეგო, როდის მორჩებით თქვენ ამ უპატრონო ქუჩაში მოხეტიალე ბავშვების თქვენს სახლში შეკრებას. ჩვენ ისედაც 24 სული გვყავს შესანახი.

აბა ერთი მითხარით რით გამოვკვებო მე ისინი? კარტოფილი თავდება, ერბო ფსკერზეღა არის მხოლოდ. მარტო პურს ხომ ვერ ვაქმევ?...

ტიებო.—(გააბოლა) ეგ მე მესმის თქვენგან ყოველ დილას ძვირფასო მადლენა, ყოველთვის. „მამაო ჩვენოს“ შემდეგ... ქუჩიდან ბავშვების მოყვანას მე არას დროს არ მოვრჩები... თქვენ კი დღეს გექნებათ ფული და ხვალ ან უკეთესია დღეს, წაიყვანეთ ბრისბილი და იყიდეთ კარტოფილი, ერბო და რაც კი საჭიროა.

მადლენა.—აბა რასაკვირველია, თქვენ იმდენი გაქვთ ფული, რომ შეგიძლიანთ გადაიხადოთ 20 მანეთი ძველს კარტოფილის მეოთხედში, რომლის ნახევარი უნდა გადიყაროს და სამი მანეთი გირვანქა დამძაღებულ ერბოში. არ ვიცი სწორედ, როგორი საშუალება უნდა გვქონდეს, რომ დააძღო ეს ჯოგი პატარა მშამელებისა. და ან რათ გინდათ ისინი? ხომ არ გგონიათ, რომ მაგ ქველმოქმედებისათვის მადლობა გადაგიხადოს ვინმემ როდესმე.

ტიებო.—მე მაინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ ქუჩაში დატოვებულთა ბედი და რაც შეეხება ვისიმე აზრს ამის შესახებ, ღმერთმანი, არავითარი სურვილი არა მაქვს მოვისმინო და განსაკუთრებით ვისიმე მადლობა.

კომუნის ჯალათები

„ადამიანი, რომელიც იცინის“
ტიერი.



გენერალი გალიფე.

მადლენა.—(გაჯავრებით) ქუჩაში მიტოვებულები! მერე და ვინ მიატოვა ისინი ქუჩაში? მეხმა დახოცა მათი მშობლები თუ ხოლერამ ამოსწყვიტა? იმ სანკიულოტებმა მიატოვეს თავის შვილები და თითონ კი წავიდნენ გზებზე საძარცვავად... მოისურვეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ისიც პარიზში! ისინი წავიდნენ ბატონების წინააღმდეგ და კეთილ ბ-ნი ტიებო კი მფარველობს მათ ბარტყებს.

ტიებო.—ეჰ, მადლენა, მადლენა, და თქვენ მათზე აბრუნებთ ენას. მე არ ვიზიარებ კომუნის შეხედულებებს, მაგრამ ამ ხალხმა იცის თავის განწირვა სხვათა საკეთილდღეოთ. ისინი სცდებიან. ეს მართალია... მე ხელში იარაღს არ ავიღებ კომუნის დასაცავად, მაგრამ ის გმირები ღირსნი არიან პატივის ცემისა. მათ ბრძოლაში სიკვდილი იციან და ეს კი ძვირფასო მადლენა შეუძლიანთ მხოლოდ დიდ ადამიანებს.

მადლ.—(ბურღღუნით) დიდი ადამიანები!..

ტიებო—(განაგრძობს თავის სიტყვას) და რა შუაშია აქ ბავშვები? ისინი ერთნაირად უბედურნი არიან ვისი მხარეზედაც არ უნდა იყვნენ მათი მამები. რად უნდა დაიღუპონ უდანაშაულო ბავშვები შუა გზაზედ. აი, მე და შენ ერთათ ას ოცი წლისა ვართ და ჩვენ სიკვდილამდე კიდევ გვეყოფა სიცოცხლე. ისინი კი, ბავშვები მხოლოდ ეხლა იწყებენ ცხოვრებას, ნუ იქნებით მადლენა ბოროტი, ეგ შეურაცხყოფს თქვენს ჯაღარას.

მადლ.—აი, უფალო ღმერთო ჩემო! და განა ჩემი გული კი არ ივსება სისხლით მათ შემყურესი? ქრისტინე, ჟანიფლენგო, რამდენი არიან, რამდენი სადარდებელია... ფასები სულ მაღლა იწევენ. ცხოვრება სულ ძნელდება და არც ის ვიცით რა მოხდება ხვალ. (შორიდან მოისმის ბავშვების ხმაურობა).

ადელინა—(ფანჯარასთან მოირბინა) ბ-ნო ტიებო! დეიდა მადლენა! (ქშენით) ვერსალელები შეტევაზე გადმოვიდნენ, ფედარილისტებზე გამოილაშქრეს.

მადლ.—(შეშინებული დაეშვება სავარძელზე) ღვთისმშობელო!

ტიებო—(შეშფოთებული) რა არის ადელინა, რა მოხდა?

ადელინა— ვერსალელებიც იხევენ უკან ჩვენი სახლის მომართულებით...

მადლ.—უფალო, ბავშვები, ბავშვებს რაღა ეშველება?!

ადელინა.—ვერსალელების წინამძღოლს კარგად მოსცხეს და ამის გამო მიატოვა მებრძოლთა რიგები, მის მაგიერ ჟანმა იკისრა წინამძღოლობა. მაგრამ ჩვენი ახალი შვილობილის ფლენგოს მოხერხებული ხელმძღვანელობის წყალობით ვერსალელები დამარცხებულნი დარჩნენ.

მადლ.—(მიხვდა ხუმრობას) განა შეიძლება ადელინა, ასე ადამიანის შეშინება?

ადელინა.—ისინი ამ საათში აქ გაჩნდებიან... საპონი მოუმზადეთ დეიდა საპონი, სულ დასაბანები არიან... ისინი დიუმენზედ იხევდენ და შეგიძლიანთ წარმოიდგინოდ რას ემგვანებიან.

(ბავშვების ხმაურობა ძლიერდება).

ტიებო.—დამიძახეთ ადელინა, ფლენგოს და ჟანს. ეგ ძალიან ცუდი გასართობია, ძალიან ცუდი. ბავშვები არ უნდა მიეჩვივნენ სიგლახეს.

მადლ.—აი, ინებეთ და იყავით ამის შემდეგ მოსვენებით... ყოველ დღე თითო რამ... (ბავშვების ხმაურობა უკვე სახლთანაა).

ტიებო.—(ფანჯარასთან) ფლენგო, ჟან! შემოდით აქ. თქვენ ეგ რა ბრძოლები გაგიმართიათ ან ვინ გამოიგონა ეგ?

ადელ.—(შემოდის ოთახში და ეხვევა მადლენას, მაგრამ ის სცდილობს მოიცილოს).

მადლ.—გამანგებე თავი ცელქო... სჯობია წახვიდე და დამიძახო მეეტლე ბრისბილს. მე უნდა მასთან ერთათ გავემგზავრო სურსათის საყიდლათ. ჩვენ ხომ თითქმის ყველაფერი გაგვითავდა. კარტოფილი თავდება და ერბოც მხოლოდ ფსკერზედღა არის. (შემოდიან ფლენგო და ჟანი. უბრალო ტანსაცმელში, რომელიც გაჭუჭყული და დასრესილებია. ორივენი ფეხშიშველები არიან. სახე ორივეს გასვრილი და გაოფლიანებული. ტიებო ზის მაგიდასთან და მღელვარებით აბოლებს ჩიბუხიდან).

ტიებო.—(ფლენგოს და ჟანს რომლებიც კარებთან გაჩერებულან), აბა მოდით ახლოს, მიამბეთ რა მოგიხდათ თქვენ?

მადლ.—(რა შეხედავს ბავშვებს) რას დამგვანებიან?!

ადელინა.—(მიმავალი) საპონი მოუმზადეთ დეიდა საპონი!.. (გადის) (ჟანი ფლენგო მოუახლოვდებიან ტიებოს და მის პირდაპირ გაჩერდებიან).

ტიებო.—მე გისმენთ.

ჟან.—ჩვენ ვთამაშობდით დიუმენთან... ციხეს ვაშენებდით... ფლენგო და სხვა ბავშვებიც დაგვესხენ ჩვენ და ჩვენი ციხის დანგრევა უნდოდათ...

ფლენგო.—(აწყვეტინებს) არა, ეგრე არ იყო, ეგრე არ იყო... ეგენი აშენებენ ვერსალს... მერე ჟანი მომვარდა მე და სხვებსაც დაუძახა: „მოსცხეთ კომუნარებსა“-ო...

ტიებო.—მერე და რა არის?

ფლენგო.—ის არის, რომ მერე ჩვენ ამათ მოესცხეთ კარგა-ლაზათიანად... ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ მათთან არ ვთამაშობდით... ამან ასტეხა ყველაფერი.

ტიებო.—მერე, რა მოხდა?

ფლენგო.—(შეშფოთებით) მერე გაიმართა კარგი ბრძოლა და ჩვენც დავბეეეთ ესენი. კომუნარები ყოველთვის ერევიან ვერსალელებს.

ტიებო.—მერე ეგ შენ საიდან იცი?

ფლენგო.—ვიცი... მე ვიყავი მათთან...

ტიებო.—(ჟანს) აბა ეგ რა გასართობია? ციხე-სიმაგრეები, კომუნარები, ბრძოლები? ეგენი მე არ მომწონს ჩემო ბავშვებო...

ჟან.—ჩვენ ჩხუბი არ გვინდოდა... ჩვენ მხოლოდ ვთამაშობდით, ციხეს ვაშენებდით და ამათ კი...

ფლენგო.—შენ მართალს არ ამბობ შენ მე მომვარდი...

ტიებო.—კარგია, თქვენ სულერთია დამნაშავენი ხართ. რა საჭიროა ერთი-მეორის ცემა? რას მოგიტანთ? განა მაგითი თქვენს თავს სიკეთეს მოუტანთ? თქვენ მტრები არა ხართ ერთი-მეორის.

ფლენგო.—დიახ, მხოლოდ ესენი თავს გვესხმიან...

ტიებო.—გაჩუმდი ფლენგო, გაჩუმდი. განა ცუდი იქნება, რომ მეგობრებათ იყოთ და ერთმანეთს არ აჯავრებდეთ? მე არა მსურს, რომ თქვენ შორის ხდებოდეს ეგ. იცოდეთ, თუ ეგრე განაგრძეთ, მე იძულებული ვიქნები ბევრი დავითხოვო პანსიონიდან. წადით ეხლა და მოიწესრიგეთ. (ბავშვები მიემართებიან კარებისაკენ) თუმცა... ფლენგო დარჩეს აქ ცოტა ხნით. (ფლენგო ჩერდება კარებთან).

მადლენა.—ერთი შეხედეთ ამას, შეხედეთ...

ტიებო.—(მიუახლოვდება ფლენგოს, მხარზედ დაადებს ხელს, მეორე ხელით აუწევს ნიკაპს და ჩასცქერის თვალებში. ფლენგოც თამამად უპასუხებს ცქერით). კომუნარები ყოველთვის ერევიან ვერსალელებს?

ფლენგო.—(ცოცხლად) ყოველთვის.

ტიებო.—შენც გინდა ვერსალელების ცემა?

ფლენგო.—დიაღ!

ტიებო.—ტყუილად ჩემო ბავშვო, ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ, სულ ბავშვი. სიმკაცრე ცუდი გრძნობაა ბავშვებისათვის. შენ აღარ უნდა გამართო ბრძოლები, შეტევა, და უნდა შეურიგდე ჟანს და სხვებსაც.

ფლენგო.—(თავჩაღუნული ჩუმად სდგას)

ტიებო.—რატომ არ მიპასუხებ ფლენგო?

ფლენგო.—მე მინდა წავიდე პარიზში.

მადლენა.— } პარიზში?
ტიებო.— }

ტიებო.—პარიზში უნდა წასვლა. არა რა ბავშვია?!

ბრისბილი.—(შემომავალი) ეგ ვის უნდა პარიზში წასვლა? თქვენ ხომ არა დეიდა მადლენა?

მადლენა.—მე მინდა წასვლა ბრისბილ, მაგრამ არა პარიზში. მიხსნას ღმერთმა მისგან. ეს ჩვენ ფლენგოს ნებავს იქ წასვლა.

ბრისბილი.—ეჰე, ძალიან გულადი აღზრდილა ეს ყმაწვილი. მე და თქვენ კი დეიდა მგონი ცხვირსაც ვერ გავყოფთ ჩვენს ეზოს გარედ.

ტიებო.—(მიდა ფანჯარასთან და აბოლებს ჩიბუხიდან). ეგ რატომ? (ამ დროს მადლენა თითით ანიშნებს ფლენგოს, რომელიც მიდა მასთან და სურსათის ალაგება-დაწყობას შეელის).

ბრისბილ.—თქვენ, რასაკვირველია, გესმით ხშირი სროლის ხმა პარიზიდან. აი, გუშინ მე ძლივს დავბრუნდი სახლში. კომუნარები დამარცხდნენ. პარიზში ბრიგადები ბრიგადაზე გადადის ტიერის ხელში. ასე გავიგონე მე სხვების ნალაპარაკევიდან. ვერსალელებმა დამიჭირეს მე თითქმის ერთი საათით. იქნებ კომუნარიაო. ეს დიდი კითხვა იყო ჩემთვის იმ დროს მოქალაქე ტიებო. რადგან ვინუას ბრძანება გაუცია ცოცხალი არც ერთი ტყვე არ დარჩესო, და მე კი სწორედ მოგახსენოთ სრულიადაც არა მაქვს სურვილი გადავსახლდე საიქაოს, თუ გინდ თვით სამოთხეშიც, წამებულის უფლებებით.

ტიებო.—ვინუამ გასცა ბრძანება, რომ ტყვეები აღარ შეინახო ცოცხალი? ძვირფასო ბრისბილ, იქნებ თქვენ სწორედ ვერ გაიგონეთ?

ბრისბილ.—არა, მე ჯერ კიდევ კარგი სმენა მაქვს. არა, რა არის იმაზედ ცუდი. ხვალ ან ზეგ ჩვენი რაინონი გარდაიქცევა სამზედრო მოქმედების სარბიელად. მე დღესვე ვაპირებ მოვაცილო სადმე ჩემი ოჯახი და ჩემი ცხენები. თქვენც ამასვე გირჩევთ მოქალაქე ტიებო, ააცდინოთ როგორმე განსაცდელი თქვენს ბარტყებს.

მადლენა.—ღმერთო ჩემო, სად წავიყვანო ისინი? რა დრო დადგა. არც კი იცის ადამიანმა რა მოგელის უკანასკნელ წუთს.

ტიებო.—მშვიდათ მადლენა, მშვიდათ. ბავშვები უნდა შევაფაროთ სარდაფში. მისი კედლები იმდენად მაგარია, რომ თვით ზარბაზნის ყუმბარასაც კი გაუძლებს. თოფის ტყვია ხომ სულ არ წარმოადგენს საშიშროებას. ეხლავე უნდა მოვამზადოთ სარდაფი.

მადლენა.—თქმა ადვილია. ეხლავე უნდა მოვამზადოთ. სად წავიღო იმდენი რამ? იქ ხომ მთელი ჩვენი მარაგია სურსათისა, რომ გამოვიტანოთ სიცხეში ხომ წახდა ყველაფერი.

ტიებო.—მე გაბრაზებას ვიწყებ მადლენა. გაფუჭდება ჩვენი სურსათ-სანოვაგე. მაშ სულ-ერთი ყოფილა თქვენთვის; მოხვდება ცხელი ტყვია კომბოსტოს თავს თუ ბავშვის გვერდს. არ უნდა იყო სულელი, როდესაც ეს საჭირო და დროული არ არის.

ბრისბილ.—ცხელი ტყვია კი ჩვენ შორის დარჩეს და ხშირად იქ ხვდებიან, სადაც საჭირო არ არის, განსაკუთრებით ვერსალელებისაგან ნასროლი.

მადლ.—ერთი ორი დღეც და სულ მთლად გადავირევი. და მაშინ უარეს სისულელეებს იტყვი. (ფლენგოს) გაანთავისუფლე კალათები. სად არის ადელინა? (ფანჯარასთან) ადელინა, ადელინა! სად არის ბოლოს და ბოლოს?

ადელინა—(ფანჯარასთან) მე აქ გახლავართ დეიდა მადლენა. რა გნებავთ?

მადლ.—საჭიროა სარდაფის დაცლა. იქ ჩვენ ბავშვები უნდა დავმალოთ. განა თქვენ ვერ გაიგონეთ რა! ლაპარაკობდა ბრისბილი! ერთი სიტყვით ჩადით მალე სარდაფში... აი, გასაღები წაიღე. (აწოდებს გასაღებს, რომელიც ბუხრის თავიდან აიღო) მეც ეხლავე ჩამოვალ. მანამდე კი ფლენგოც წამოვა.

ტიებო—არ დაგავიწყდეთ თბილები მეტი ჩაიტანეთ სარდაფში. ბავშვებს თბილად უნდა დაახუროთ ღამით. დღეს მათ სარდაფში უნდა დაიძინონ. თქვენ როგორ ფიქრობთ ბროსბილ?

ბროსბილ—სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ბავშვებმა ერთი ზედმეტი ღამე რომ სარდაფში იძინონ, არ აწყენთ და მზად ყოფნა კი აუცილებელია. ამასთან მადლენაც რომ იქვე ჩაჰგზავნოთ უმჯობესი იქნება. ქალია და ხომ იცით ვერსალის ჯარის კაცები ბევრს არ ალაპარაკებენ.

ტიებო—მეც ეგრე მგონია. ჩვენ კი ჩვენს დროს ვიცოდით ქალის პატივისცემა.

ბრისბილ—იფიქრეთ როგორც გსურდეთ მოქ. ტიებო, მაგრამ მე იმასთან ძალიან ცუდათ ვიხსენიებდი კომუნარებს, მე მასზე ცუდს არ ვფიქრობდი, მაგრამ ცუდათ კი ვიხსენიებდი. ხანდახან ადამიანმა უნდა ჩაიდინოს ეს, მე თითონ არ მომეწონა ჩემი თავი იმის შემდეგ, მაგრამ ეს ჩავიდინე ჩემი ბავშვების გამო, რომ ისინი უმამოდ, ობლად არ დარჩენილიყვნენ, ოღონდ თუ ღმერთი გრწამთ ნუ იფიქრებთ ჩემზე ცუდს მოქალაქე ტიებო. ვერსალელებთან მშვიდათ და წყნარად, თუ კი ისინი აქ გაჩნდებიან. და თუ თქვენ მათ არ შეხვდებით ეს ბევრად უკეთესი იქნება, როგორცა სჩანს მათ სრულიად არა სურთ თავის თავი ადამიანათ იგრძნონ.

(ფარდა)

ღამე ტფილისში.

ღამეა ღემე
ხალხს სძინავს
ყურობს ქალაქი,

მხოლოდ მანქანა,
მძლავრად იძვრის
მძლავრად ქაქანებს,

არღვევს ღამისა
მყუდროებას
ძლევა მოსილი
ჰქმნის ელთა ნათელს
ბნელს გვინათებს
გულსა გვიხარებს.

გარს დასტრიალებს
გაწაფული
შრომისა შვილი
ანგარიშს უწევს
მის ჩხაკა-ჩხუკს.
მის მოძრაობას

საზრდოს არ აკლებს
თვისვე ქმნილებას
და უფრთხილდება
მანქანასა
მის ჯანმრთელობას.

ერთი მეორეს
სცვლის ორივე,
ერთურთ აბერებს,

უსულო საგანს
სულიერი შესთვისებია

შეუსწავლია
მისი ჰანგი,
მისი სიმღერა,
უყვარს მანქანა,
საყვარელს ვერ
განშორებია

შექმნილი შემქნელს
ასაზრდოვებს
ემანანება
ორივე ერთად
ასრულებენ
საქმეს დიადსა

ერთგული შრომით
ერთმანეთის
ფარეშობაში
ღამეც გაჰქრება
და გალევენ
ბნელსა წყვდიადსა.

ორივე ერთად
მოსვენებას
მიეცემიან
რა ძიაღწევენ
სინათლესა
და განთიადსა.

შ. ნავთლუღელი.

პარიზის კომუნა.

1871 წელი,
18 მარტი და აჯანყება...
ქუჩებზე მსხვერპლი
აურაცხელი,
ბრძოლით შექმნილი
პაპანაქება.

დიდი ქალაქი ღელავს
და იბრძვის
საშინელება დადის
ხანძარით
სასახლეები მტარვალთა იწვის,
მას შემოარტყეს ცეცხლის
მძლე რკალი.

ჰკივის პარიზი ცეცხლის რკალებში
ბარიკადები სულ
ხმაურობენ;
ისმის ყიჟინა კომუნართ ხმებში:
„დავლეწოდ ძმებო მონობის ღობე“.

მებრძოლთ ჯარები ძარღვებს
სჭიმავენ
(ვინ უწყს, დროება თუ რას
ინებებს)
ახალი ძალით სიცოცხლეს
სწნავენ
და თან ყვირიან: „წინ
გასწით ძმებო“.

ამოსუნთქვა... და ცეცხლოვან პარიზს
მოადგნენ თეთრი ვერსალელები
და შეუთვალეს მათ კომუნარებს:
„დათვლილი არის თქვენი დღეები“.

1871 წელი.
მაისის თვე და კომუნის ბოლო...
გვამებით სავსე გაშლილი ველი;
ო, შრომის კერა კომუნართ გლოვობს.

ბრწყინვალე ხალხი კი დასეირნობს
ათვალიერებს სურათს და სტკბება;
დიდ ტრაგედიას კომედიად გრძნობს,
დღესასწაულობს ამ გამარჯვებას.

———

გავიდა დრო და კომუნის სულმა
ხორცი შეისხა ოქტომბრის ღამეს;
რწმენის ხომალდით ზღვები გასცურა
და წითელ დროშას მაღლა მიაფრენს.

ო, ჯალათებო! მძლე ოქტომბერი
თქვენ გადაგიხდით სამაგიეროს
და მომავალში იგი მოგელით,
რაც კომუნარებს არგუნეთ ერთ დროს.

კ. ფეოდოსიშვილი.

ტუსაღების დათვალიერება ხვრეტდენ ყველას, ვისაც კი ხელი თოფის წამლით ჰქონდა გასვრილი.

ბარრიკადებზე.

1.

ეს იყო პარიზში.

ეს იყო პარიზის კომუნის დროს...

ქალაქი აიღეს თეთრებმა და გვამებით ააშენეს მთები,—სისხლით შეღებეს ქუჩები...

მაშინ კი, ვიდრე წითელი დროშები თავს ევლებოდა პარიზის მოედნებს იყო გამეტება დაუზოგავი და სიტყვები წრფელი:

— „პარიზი ჩვენი დედაა“...

— „პარიზი კომუნის მშობელია“...

— „პარიზი უნდა დავიფაროთ“...

და ყველა ვისაც ეცვა დახეული ფარაჯა, ვინც იყო მშიერი და შეეძლო თოფის დაჭერა ბარიკადებზე ამაყობდა ამაყი დგომით...

პირველ მოწოდებას ქუჩებში რომ გამოაკრეს ერუანტელით კითხულობს ყველა...

ბავშვი მირბის, ბავშვი, რომელიც 13 წლისაა და მამის საზეინკლოში აღამებს დღეებს, მირბის, მიარბენიებს ახალ მოწოდებას...

— მამა ხედავ!—ხედავ აქ რა სწერია?..

„ყველა მოქალაქეებს, ყველა პატიოსან მშრომელებს და ყველა მათ ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, მოუწოდებთ პარიზის დაცვას, ბარიკადებზე ბრძოლას“...

მამა ზეინკალია, ხელები აქვს კორძიანი და მკლავები ძლიერი...

საბრძოლველად, მაგრამ მაინც მხიარულად გაემართა დიდ მოედანზედ...

დედა კი სტირის მოზღვავებულ უბედურებას, ნაღვლობს ქმარზე, რომელიც ტყვეებშია, ნაღვლობს უფროს ვაჟზე, რომელიც თეთრებთან არის, ნაღვლობს ბავშვზე, რომელიც გაიქცა სახლიდან, გაიქცა მამასთან...

2.

ტყვეების ალყა შემოერტყა პარიზს...

ტყვეები ცხელი ცივდებოდა მხურვალე სისხლში და როდესაც ზარბაზნებმა პირველი ბარიკადი დაანგრიეს, კომუნარებმა მოწოდებით მიმართეს მეფის ჯარისკაცებს:

„შვილებო, მამებო, და ძმებო!..

ჩვენ ვიბრძვით თქვენთვის, ჩვენ ვიბრძვით პარიზის დაჩაგრულთათვის, შემოგვიერთდით!..“

მაგრამ არც ერთი ჯარისკაცი არ შეუერთდა, რადგან იმათაც ზურგში მოსდევდა ზარბაზნები, მოსდევდა სიკვდილი...

პარიზი, განსაცდელშია..'

შეხედეთ: როგორ იწურება სისხლით და როგორ იტანჯება წაქცეულ მებრძოლებით...

?!..

ბარრიკადა პირველი: აღებულია... კომუნარების გვამებზე სდგას ზარბაზნები და ბრაზით გრიალებენ...

ბარიკადი მეორე: აქ უსულოთ გადავარდა უკანასკნელი დამცველი და ბუყვრიალა ეპოლეტებიანი ჯარისკაცებს მოუწოდებს შეუბრალებლობას...

ქუჩები:

აქ ალბად ერთ დროს მხიარული ხალხი ვიტრინებიდან ძვირფას სამკაულებს სინჯავდა, ან კიდევ ახმაურებულ კაფეებში დროს ატარებდა...

გამარჯვებული თეთრი მეომრები, ფეხქვეშ სთელავენ დროშებს, ადამიანებს და მშიერ ძაღლებივით დაეძებენ მსხვერპლს.

გაფითრებული ქალი,რომელმაც თოფით ვერ შესძლო ბრძოლა, ახლად შემოსულს სტუმრებს უშველებელ ქვაბიდან გადმოღვრილ ცხელი წყლით უმასპინძლდება... იგი არ სტყუის, რადგან ეს არის ბოლო მწარე ამოძახილი, ბოლო გულის წყრომა.

დედა, რომელსაც ძუძუსთან ბავში ჰქონდა ჩაკრული და რომელიც პურის საშოვნელად გარეთ გამოვიდა მოჰკლეს იმიტომ, რომ რაღაცას ეძებდა.. ბავში კი განაგრძობდა ძუძუს წოვას...

უკანასკნელ ბარრიკადებთან ერთხელ კიდევ მოუწოდეს ჯარისკაცებს, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან იგიც ხელში ჩაიგდეს...

აქ მეთაურმა მიზანი არ ააცდინა და მამის ფეხებთან უსულოთ დავარდა 13 წლის შვილი,—

მერე მეთაური ხმალ ამოწვდილ იერიშით მიადგა ბოლო მებრძოლს, მაგრამ აკანკალებულმა მკლავმა ხმალი ძირს დახარა, რადგან მან ვერ გაბედა მამის მოკვლა...

მამამ კი უკანასკნელი ტყვია გაიმეტა და შვილი, რომელსაც თურმე თავდადებულ ბრძოლაში მეთაურობა მიუღია, პირქვე დაემხო...

შემდეგ კი აიღეს ეს ბარრიკადაც და კომუნარი, რომელსაც ორი შვილი თვალწინ დაეღუპა გასისხლიანებული მკერდით მიწაზე ეგდო...

ეს იყო პარიზში...

ეს იყო პარიზის კომუნის დროს...

ქალაქი ბრძოლით აიღეს თეთრებმა და გვამებით ააშენეს მთები, სისხლით შეღებეს ქუჩები...

ე. პოლუმორდვინოვი.

ზღვის პირად.

ლევანს ძალიან მოეწონა თავისი ერთგული მსახურის მიერ დაქირავებული აგარაკი: წყნარი კუთხე, ლამაზი და ერთიანად ხეების ფოთლებში ჩაფუთვნილი სახლი, მაღალი კედლები, ფართო ოთახები, სურნელოვანი ჰაერი... სწორედ ისეთი ბინა იყო, როგორიც ლევანს უნდოდა. რა ჭკვიანი მსახურია სისო!..

ლევანი ჯერ ამ აგარაკზე არ ყოფილა, სხვა წლებში უფრო მთის ჰაერს ეტანებოდა და იქ—ათაიგულებულ სერებზე იწყნარებდა ზამთრის მუშაობით აფორიაქებულ ნერვებს; წელს კი ექიმებმა ზღვაში ბანაობა ურჩიეს.

ბუნებას არასოდეს არ გაუკვირვებია ლევანი: მისთვის სულ ერთი იყო—მთას ხედავდა თუ ბარს, გადატრიალებულ ველებს, თუ აფერადებულ წალკოტს. არც ზეცაში უწესრიგოდ მობნეულ ვარსკვლავებისათვის შეუცინია მას და არც შავნაბადით დალუკუმებულ კაბადონის ხილვით შეკვრია შუბლი... ყველაფერს ერთნაირის სიდინჯით და მდგომარეობით ღებულობდა მისი არსება. ამიტომ იყო, რომ არასოდეს ზღვის ნახვა არ მოუნატრებია ლევანს. ხშირად ჰქონდა შემთხვევა თავის სიცოცხლეში სულ უმნიშვნელო ხარჯისა და დროის დაკარგვით ენახა ეს საკვირველი სტიქიონი—ვინ იცის რამდენჯერ გაიწვიეს მეგობრებმა, მაგრამ არ იქნა ლევანმა ზღვა ვერ ნახა.

— თუ გარემოება მოიტანს და ვნახავ—კარგი იქნება, რუ არა და განსაკუთრებით მის სანახავად თავს არ შევიწუხებ... რა უნდა იყოს ისეთი, რომ გამაკვირვოსო,—იტყოდა გულგრილად ლევანი, როცა შემთხვევა ექნებოდა,—რას მიქვია სხვისი წახდულობით სადმე წასვლა, როცა მე მომესურვება, მაშინ ვიქ ამასო,—თან დასძენდა. როცა ექიმებმა ურჩიეს ზღვაში ბანაობა, ლევანმა გაიფიქრა: ო გარემოებაც მოითხოვს და მეც ზღვას ვნახავო, თუმცა წინდაწინვე დარწმუნებული იყო, რომ ზღვა სრულებითაც ვერ გააკვირვებდა მას. ლევანმა იცოდა, რომ ზღვა ხმაურობს და ამიტომ ასე დაუბარა სისოს:

— ბინა ზღვის ნაპირზე მოშორებით დაიქირავე, რომ სრული სიწყნარე იყოსო.

სისომ პირნათლად აასრულა ლევანის შენაკვეთი: ბინა ისე მოშორებით დაიქირავა, რომ მხოლოდ დიდი ღელვის დროს თუ მოაღწევდა იქამდე გააფთრებულ ტალღათა შორეული გრიალი.

რომ იცოდეთ რა ტკბილად დაეძინა პირველ ღამეს ლევანს! აგრე მოსვენებით და სხეულის დაამებით მგონი არც ერთი ღამე არ გაუთენებია თავის სიცოცხლეში. ფართო და წყნარ ოთახში სასიამოვნოდ დაუყუჩდა ძვალი და რბილი, ზღვის სუფთა ჰაერი საამურად მიმოუდიოდა სასუნთქავ ორგანოებში...

მსახურმა, დილით ერთობ გვიან [შეაკითხა; ლევანისთვის რომ ძილი არ დაეფთხო, ფეხებზე ნაბდის ფეხსაცმელები ეცვა. საყვარელი ბატონის ოთახში ფანჯრები მომზეურების შემდეგ გააღო, ასე რომ ღამით ერთიანად დაწმენდილი ზღვით მონაბერი ჰაერი დილის მზის უმანკო სხივებმა მოუძღვნეს მძინარე ლევანს.

ჩემო სისო, აი ამისათვისაა, რომ მე შენ გაფასებ და ამდენი ხანია არ მოგიშორე. სწორეთ რომ ჩემი გუნების კაცი ხარ და ზედმიწევნით იცი ჩემი ხასიათი. რა მშვენიერი ბინა დაგიქირავებია! რა ტკბილად მეძინა!.. პირდაპირ ნაწილებად დასარიგებელი კაცი ხარ, ნაწილებად.. ეუბნებოდა სისოს ლევანი და თან ზანტად იფშვნეტდა თვალებს.

— ოო, რა ძრიელი ხატი ვიქნები მერე, ბატონო, რა ძრიელი!...

შენ ენა მახვილიც ხარ, ჩემო სისო... იცოცხლე, იცოცხლე, ჩემო კეთილო...

ლევანმა აუჩქარებლად დაიბანა ხელპირი, შემშრალების შემდეგ პირსახოცი მხარზე გადაიდო და ლამაზ ქოშებში თოვლივით თეთრ წინდებიანი ფეხებით დერეფახში სეირნობა დაიწყო. გულგაღეღილი იყო, კრახმალიან ძვირფას პერანგისამარა. თანაც ხელში ძვლის ვეებერთელა სავარცხელი ეჭირა და თმას ივარცხნიდა, ხანდიხან წვერ-ულვაშსაც შეეხებოდა.

სისომ სრულიად უხმაუროდ ჩაი მოართვა და ხმის ამოუღებლივ უკანვე გაბრუნდა. საზოგადოდ ასეთი წესი სუფევდა ლევანის გარშემო: მის ბინაზე სიჩუმე და მხოლოდ სიჩუმე უნდა ყოფილიყო გამეფებული. ამიტომ მსახურს განსაკუთრებით შეძენილი რბილი ფეხსაცმელი ჰქონდა; ზედმეტი ლაპარაკი ან ხმაურობა სასტიკად იყო აკრძალული: სისოს მაშინ უნდა ამოეღო ხმა, როცა ლევანი დაელაპარაკებოდა, მისი პასუხი ყოველთვის მოკლე უნდა ყოფილიყო. ლევანთან მსახური ხანგრძლივად არასოდეს არ უნდა გაჩერებულიყო, თუ ვინიცობაა სტუმარი მოვიდოდა, აუცილებლივ უარით უნდა გაესტუმრებია, მიღება შეიძლეოდა მსოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ლევანის ბინა ყოველთვის მორთულ-მოკაზმული უნდა ყოფილიყო, ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დახვედროდა: წიგნი, გაზეთი, ტანისამოსი, დგამი, საწერკალამი... არაფრის ძებნა არ უნდა დაჰირვებოდა ლევანს, ყველაფერი თვალწინ უნდა ქონოდა კოხტად და სუფთად დალაგებული. ყველგან და ყველაფერში უბრალოება და სილამაზე უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი.

ლევანის სასმელ-საჭმელიც უბრალო უნდა ყოფილიყო, ღვინოს არ სვამდა. ასე ცხოვრობდა ლევანი დიდიხანია და გადაწყვეტილი ჰქონდა არასოდეს ამ წესისათვის არ ეღალატნა. აგერ თუთხმეტი წელიწადია მსახურად ყავს სისო, რომელმაც დაწვრილებით იცის მისი ხასიათი და პირნათლადაც ემსახუროდა მას. ლევანიც შესაფერად აფასებდა მისს შრომას და სრულიად კმაყოფილი ყავდა როგორც ხელფასის, ისე შენახვის მხრივ.

II.

ჩაის შემდეგ ლევანი ლამაზად მოირთო: ჩაიცვა მშვენიერი ევროპიული ტანისამოსი, სარკესავით გაკრიალებული ფეხსაცმელები და სუსტი ჯოხით ხელში სასეირნოდ გასწია. ზღვიდან მონაბერმა ნელმა ბორიომ ერთობ ასიამოვნა ლევანს, ხოლო კიდევ უფრო დაატკბო იგი ქვიშიან ნაპირებზე პირზე დორბლებით მოვარდნილმა ტალღამ, რომელიც უკან დახევისას, აუოაცხელ ნაკადულებად ქცეული, გველივით მირბოდა ზღვის სიღრმისკენ. ლევანი გაშტერებულივით დააცქერდა მჩქეფარე ზღვას და თვალს ვერ აშორებდა კენჭებით მოჭედილ ნაპირების მის მიერ სიყვარულით წუწუნას. თეთრრად აქოჩრილი ლურჯი ტალღა თავგანწირვით ეხეთქებოდა ნაპირებს.

ყოველ წუთს ყოველ წამს ამ დღიდან იმ დღემდე, ამ წლიდან იმ წლამდე შეუჩერებლად იმეორებდა ერთ და იმავე მოქმედებას, მაგრამ მაინც არ იღლებოდა, მაინც არ ცხრებოდა და ყოველ ახალ შემობრუნებაზე კიდევ უფრო გაგულოვნებული, კიდევ უფრო გააფთრებული ეხეთქებოდა პირგამეხებულ ნაპირს. ზღვის სიღრმეში გაბედულად დარაზმული ღმუილით მოასკდებოდა ხმელეთს, უცებ დაიცლებოდა ძალ-ღონიდან და ერთად გაცამტვერებული, გველის წიწილებად ქცეული, შერცხვენილი მისრიალებდა თავქვე ხელახალის იერიშის მოსატანად.

დიდხანს, დიდხანს დაჰყურებდა ლევანი ამ სურათს და საბანაოდ წასვლა კი გადაავიწყდა. ზეწრებით დამარაგებულ სისოს უნდოდა ახლო მისულიყო და მოეგონებია—დროა საბანაოდ წაბრძანდეთო, მაგრამ ერიდებოდა—არ უნდოდა—ჩაფიქრებულ ბატონისათვის—სია. მოვნების წუთები შეემოკლებია.

ზღვის დანარჩენი ნაწილი ლევანს სრულებით არ მოეწონა, თვალი ვერ გაუმაგრა მისს დაუსრულებელ სივრცეს და შიშის მომგვრელ ვეშაპისებურ სუნთქვას. ასეთი ბუმბერაზი რაი?ე, ძლიერი, შეუპოვარი და ძალაუფლებოვანი მას ჯერ არაფერი ენახა. ზღვის ყოველ მოძრაობაში მრისხანე სტიქონის მძლეთა-მძლეობა ჩანდა. ის იყო გადაუტეხელ ნებისყოფის განსახიერება, შეურყეველის რწმენის, სალის კლდისებურის სურვილების... ის იყო შეუპოვარი მბრძანებელი, რომლის წარბის შეთამაშებასაც კი ყველა და ყველაფერი უნდა დამორჩილებოდა, უსიტყვოდ დამონებოდა,

ლევანმა მყისვე იგრძნო ყოველივე ეს, პირველ დანახვისთანავე ამოიცნო სტიქიონის მბრძანებელი ბუნება. ზღვის შმუშნა ლევანის წარმოდგენაში მეფური ძალის აგორება იყო მეხისებრი დაკვრის განხატება, ურყევი დაკვრის, სხვისი მომსპობის, გარეშეთა დამმონებელის... ეს იყო თვითმპყრობელი ძალის ქშენა, მთელი ქვეყნის თავის სასამსახუროდ ამამოძრავებელის...

და... ლევანსაც არ მოეწონა იგი, შეკრთა მის წინაშე, იგრძნო თავისი არარაობა და ვით ამაყი მირონცხებული, რომელსაც კადნიერებმა გვირგვინის მოხდა დაუპირეს, ნაწყენი გაშორდა იქაურობას.

როგორ! განა შეეძლო ლევანს მოეთმინა ასეთი მეტოქე, მისი პირადობის მომსპობი, მისი „მე“ს შემზღუდავი! ორმოცდა ორის

წლის განმამავლობაში ამაყად იარა ცხოვრების გზაზე, ამპარტავნულად თელა ნარ-ეკლიანი სარბიელი, ერთხელ რა არის არავის წინაშე არ წამოუჩოქია, ყველას თვალს უსწორებდა, ყველას თავისძალღონეს უპირდაპირებდა და... დღეს უნდა შედრკეს ამ ამაყის ძალის წინაშე? არა!.. ლევანი თვითონ ზღვის ენერგიის მატარებელია, ტიტანიურის სულისკვეთების საუყაულია, ქმნილებათა მეფეა და... არც ზღვის წინაშე მოიხრის ქედს... ან ჩაჩოქებს, ან და განრისხებული გაეცლება უტყვ მეფეს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ყრუდ მძინვარებს თავის სარეცელში...

და ლევანიც მოშორდა უკმეხ სტიქიონს...

იგი მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა ზღვასთან საბანაოთ: თავი არც კი აუღია ზევით, ზღვის სიღრმისკენ ერთხელაც კი არ გაუხედნია, მხოლოდ ტალღათა წყნარი ჰიდილის ცქერით ტკბებოდა. ამის შემდეგ ლევანმა ერთი წესი დასდო: ჩაფიქრებული და თავჩაქინდრული მოვიდოდა საბანაოდ, ერთხელაც კი არ აიხედავდა ზევით და მორჩებოდა თუ არა საქმეს, მყისვე ბრუნდებოდა თავის ოთახში. სასეირნოდ აგარაკის ხეივნებში დადიოდა, ისე რომ ზღვას ძნელად თუ დაინახავდა. მშვენიერმა ნაძვნარმა და კიდევ უკეთესმა მოლმა, რომელიც ხავერდოვან ნოხივით იყო მოფენილი, თითქმის სულ დაავიწყეს ზღვაც და მისი საშინელი სახეც. მასთან ზღვის პირად აუარებელი ხალხი იყო, ხმაურობდენ, ჭიანჭველასავით ირეოდენ, აქ კი სრული სიწყნარე მეფობდა.

III.

ასე გავიდა ორი კვირა. ერთხელ ლევანმა შეამჩნია, რომ ზღვის ახლო მშვენიერ ეზოში პატარა ლამაზი სახლკარია აგებული. ოთხკუთხედად მონაკვეთი ბინა, ლამაზად დაგეგმილი ბოსტანი, სათიბი, პატარა ვენახი, ხილნარი, სწორი კუთხეები, სწორი გზები, ყველგან სიმეტრია, ყველგან მათემათიკური სისწორე. ეზოს ერთ კუთხეში დგას ერთსართულიანი სახლი, სუფთათ ნაშენი, კოხტად გამომზირალი, წინ შუშაბანდი, იქვე ახლო ფოთლებში ჩაფლული ლამაზი გადახურული ქვევით საჯდომებით,.. სახლის გვერდით საქათმე, იქვე სამტრედე, საღორე... ეს მორთულობა პირველშეხედვისთანავე თვალში მოხვდა ლევანს და ყოველ დღე გადიხედავდა ხოლმე შიგ. დააცქერდებოდა ამ ლამაზად გაწესრიგებულ ეზო-გარემოს და ირონიულად გაღიმების შემდეგ ნელა მოშორდებოდა იქაურობას. რამდენად მეტს უკვირდებოდა ლევანი ამ სახლკარს, იმდენად უფრო ინტერესდებოდა და კიდევ უფრო მეტად იღიმებოდა იგი.

მაგრამ მისი დაინტერესების მიზეზი სულ სხვა იყო, ვიდრე ჩვეულებრივი რამ. იმ სიმეტრიამ და გვემამ, იმ თადარიგიანობამ და სისუფთავემ, რომელიც, იქ მეფობდა სულ სხვა აზრი აღუძრეს მას.

— ყოველი ადამიანის ნამოქმედარი მისავე სულსა და გულს ჰგავს,—ფიქრობდა ლევანი, პოეტური ნაწარმოების ავტორს თუ მისი სტილის საშუალებით გამოიცნობენ, უბრალო მოქალაქის სულსა და გულსაც მისი ეზო-გზების საშვალებით გავეცნობით. ყოველი ადამიანი ყოველთვის თავისი სულიერი ავლა-დიდების მსგავსად ქმნის ყოველივეს. თვით მეუფის შემოქმედებაც კი შემოფარგლული აღმოჩნდა და ადამიანი მან თავისივე მსგავსად შექმნა, თვით ღმერთმაც კი ვერ გამოიჩინა რაიმე ორიგინალობა ადამიანის გაჩენის დროს...

— ალბად ამ ეზო გარემოს პატრონის სულსა და გულშიც ასეთი წესრიგი და სიმეტრია მეფობს, ყოველივე გარკვეული, ყოველივე ნათელი...

საინტერესოა გავეცნო მას და გავიგო მისი სულიერი სიმშვიდისა და კმაყოფილების მიზეზი... დიახ, დიახ... სწორედ რომ კმაყოფილებას, ვინაიდან თუ არ სულიერად კმაყოფილს, სხვას ვის უნდა შეეძლოს ასეთნაირად ცხოვრების მორთვა და მოკაზმვა.

ლევანის შეხედულობით ამ სახლ-კარის პატრონი აუცილებლივ გონება შემოფარგლული და სრულიად დამშვიდებული სულის პატრონი უნდა ყოფილიყო, რომლისათვისაც მთელი ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ წაკითხული წიგნია, ყველაფერი გაგებულია, ყოველივე შესწავლილი. არ არის ისეთი საკითხი, რომელიც მისთვის საიდუმლოებას შეადგენს, ყოველივე იცის, ყოველივეს მიწვდა. მის წარმოდგენაში ადამიანის ცხოვრება სულ უბრალო და ადვილად გასაგებ კალაპოტში მიმდინარეობს, ყველაფერი დღესავით ნათელია, ყველაფერი გარკვეულია... ერთის სიტყვით ყველგან და ყველაფერში სრული წესრიგი და სინათლე მეფობს, შესწავლილია ცა და დედამიწაც, ადამიანიც და მისი ცხოვრებაც. სიცოცხლის საიდუმლოება მისთვის არ არსებობს, წყეული საკითხები მას არა სწამს.

— ბედნიერია ამ სახლ-კარის პატრონი, ბედნიერი,—ირონიულად ამბობდა ლევანი,—ალბად არაფერი არ აწუხებს, არაფერი არ აშფოთებს... ნეტავი მაჩვენა ერთი, შორიდან მაინც შემახედა მისთვის...

ეს ნატვრა მალე აუსრულდა ლევანს: ერთ დღეს დაინახა, რომ ამ ეზოში ბავშვებთან ერთად დადიოდა შუატანის ლამაზად ჩაცმული საკმაოდ შეჭაღარებული კაცი, რომელსაც ხელში კალათი ეჭირა—ეტყობოდა, რომ სანოვაგისათვის აპირებდა წასვლას. ლამაზი ევროპიული ტანსაცმელი, ლამაზი ქუდი, ფეხსაცმელები, შნოიანი მომოხვრა, ალერსიანი ლაპარაკი, კმაყოფილი გამომეტყველება, მამობრივი მზრუნველობა ბავშვების მიმართ.

— ხა... ხა... ხა... სწორეთ რომ ესეთი უნდა ყოფილიყო ამ ეზო-გარემოს პატრონი: ასე საშუალო, ასე წესრიგიანი, აგრე კმაყოფილი... ხა... ხა... ხა... რა კარგად გამოვიცანი... ნამდვილი მეშჩანია. ყველაფერი საშვალო აქვს: სიდიდე, ქონება, ჭკუა, გემოვნება... დიახ, დიახ... მისი ეზო-გარემოც სწორეთ ასეთი უნდა ყოფილიყო. საშვალო ნიჟი ყოველთვის წესრიგიანია... დიახ, დიახ... მაგრამ ეს კაცი მე სადღაც მინახავს, რაღაც მეცნაურება... ნეტავი ვინ უნდა იყოს, სად უნდა მენახოს?..

შემთხვევით გაიგო, რომ ამ ეზო-გარემოში სცხოვრობს აგარაკის სასოფლო შკოლის მასწავლებელი რემანოზ დაშნაძე...

— რემანოზ დაშნაძე... რემანოზ... დაშნაძე... საიდან მახსოვს?... ა?... აა, მოვიგონე, მოვიგონე... მე და ის ბავშობისას ერთ შკოლაში ვსწავლობდით, ჩვენი სოფლელია, ჩემი ბავშობის მეგობარი იყო... რემანოზ, რემანოზ!.. მაგრამ აქ რა უნდა? რამ ჩამოაგდო აქ?

— ეხე... ხე... ხე!.. ახლა კი მესმის ყოველივე, ახლა კი ყველაფერი ნათელია ჩემთვის... ეს სახლკარი სწორეთ სოფლის მასწავლებლის უნდა ყოფილიყო და ისიც რემანოზ დაშნაძის. ხე.. ხე... ხე!.. საწყალი სოფლის მასწავლებელი; დაწყნარებული, დადუღებული, სისხლგამოშვებული, გონება შემოფარგლული... რაკი მის სოფელში მასზე მცოდნე არავინ არის, ასე გონია, რომ ძველი ქვეყნების სიბრძნე მის თავის ქალაშია ჩალაგებული და თავსაც, რასაკვირველია, ბედნიერად გრძნობს. სოფელს საყველპურო ცოდნა სჭირდება, მუდამ ერთი და იგივე საზრდოს მოწოდება უნდა, წლითი წლამდე ერთნაირის სიჩქარით უცემს გული და... მისი მასწავლებელიც მისივე მსგავსია. შაკიკის წამალი, ანი და ბანი, კარაბადინის მობრუნება... ეს ჭირდება წლიდან წლამდე სოფელს და მისი მასწავლებელიც მისი ერთგულია...

ლევანს სავსებით დაეკარგა ამ სახლკარის პატრონის გაცნობის სურვილი. რა უნდა ისწავლოს მან ასეთი პატარა კაცისაგან, რითი უნდა იყოს საინტერესო მისთვის ეს კაცუნა?

პოპულარ-პოეტს

ამხ. კონსტანტინე კოსტენკოს.

შენი ცხოვრება იყო ბრძოლა შეუწყვეტელი,
რომ ძირს დაგემხო საზიზღარი თვითმპყრობელობა;
შენი სასახლე იყო მუნჯი ციხის კედელი,
სადაც ქურდულად გდარაჯობდა ბნელი მკვლელობა.

ტიალ ციმბირში, კატორღაში, თუ ბრძოლის ველად,
ყველგან-ყოველთვის ჰქუხდა შენი ურჩი ყიჟინა;
და მონა ხალხთა ბორკილების დასამსხვრეველად
გლადიატორებს მიუძღოდი მახვილით წინა.

რევოლიუცია იყო შენი წარმომშობელი,
სიცოცხლეზედაც უფრო მეტად იგი გიყვარდა;
შენ იყავ მისი გამარჯვების მახარობელი,
როცა პირველი აჯანყების ალი ავარდა.

დაეცა მტვერში ძველი კრემლი და ძველი ზღუდე,
სადაც სუფევდა სისხლიანი მტარვალთა ლბინი;
არავის შერჩა სიავკაცე და არც სიმრუდე,
ცეცხლში შთაინთქა მეფის ტახტი, მეფის გვირგვინი.

და დღეს, რა წამსაც გავიხსენებ შენს განვლილ ბრძოლებს,
როს ვაკვირდები შენს წამებულ და ნათელ სახეს,—
რაღაცა ძალა სასიმღეროდ ჩანგს ამითრთოლებს
და აღტაცებით მსურს შეგძახო: ვაშა, შენს სახელს!

გ. ქუჩიშვილი.

მისი სულიერი სიმდიდრე მისს სახლკარს ეტყობა: რაც კი რამ შემოქმედება ჰქონია, ყოველივე შიგ ჩაუდევს. განა წარმოსადგენია, რომ ასეთნაირად ცოდვილ დედამიწაზე მოღვაწე ადამიანს რაიმე მაღალი სულიერი მოთხოვნილება ქონდეს? განა ის როდისმე გაბედავდა ზეცისკენ ეჭვის თვალით აეხედა? განა ოდესმე ვისმეს გაანაწყენებდა იგი და ვინმეს რაიმეში წინააღმდეგობას გაუწევდა? არა, ის ყველასი მონა იქნება, ყველას მორჩილი, არსად თავის სახეს არ გამოაჩენს; ყველას თანხმა და თანამოაზრე იქნება; მისი პირადი „მე“ სამუდამოდ არის მოსპობილი, მისმა სულმა ძიება არ იცის, მისთვის სხვამ მოძებნა ყოველივე, სხვამ გამოიკვლია.

— დიახ, დიახ... ამ კაცუნას სწორეთ აქ უნდა მოეწყო თავისი მოსახლობა, აქ, ამ საშინელი სტიქიონის პირად, იმ სტიქიონის, რომელიც ერთიანად სპობს ადამიანის ინდივიდუალობას, ააშკარავებს მის არარაობას და ერთიანად იმონებს მას. მხოლოდ დაშნაძისთანა მონური სულის ადამიანს შეუძლია ყოველდღე უცქიროს მისი არარაობის გამოაშკარავებულ ზღვას და ამავე დროს ბედის კმაყოფაზეც იყოს.

ასე დაასკვნა ლევანმა და მსწრაფლ მოშორდა იქაურობას.

ვ. მალაქიაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ხელოვნეგის ქრონიკა.

ახალი ჟურნალი. ამ დღეებში გამოვა ქართველ მწერალ ქალთა ჟურნალი.

„ჯაყოს ხიზნები“ გამოვიდა და იყიდება მიხ. ადამაშვილის ახალი მოთხრობა: „ჯაყოს ხიზნები“, წიგნი შეიცავს 130 გვერდს და ღირს 1 მანეთი.

საბავშო მოთხრობები. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ს. რემონიძის საბავშო მოთხრობათა წიგნი, დასურათებული მხატვარ სიდამონ-ერისთავის მიერ; წიგნი ეღირება 50 კაპ.

ჭოლა ლომთათიძის ნაწერების გამოცემა. მწერალთა ერთი ჯგუფი შეუდგა ჭოლა ლომთათიძის ნაწერების გამოცემას. წიგნში მოთავსებული იქნება ავტორის ბიოგრაფია და კრიტიკული დახასიათება.

ვაჟა-ფშაველას პოემების გამოცემა. სახელმწიფო გამომცემლობა მარტიდან შეუდგა ვაჟა-ფშაველას პოემების ბეჭდვას, რომლებიც გამოვა ორ ტომათ.

„ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი“. იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნი: „ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი“; წიგნი შეიცავს 250 გვერდს.

ქართული ლიტერატურის ისტორია. ახლო ხანში გამოვა კოწია კაპანელის ორიგინალური ნაშრომი ქართულ, რუსული, გერმანულ და ინგლისურ ენებზე: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ორ ტომათ.

სამხატვრო აკადემიის რეორგანიზაცია. გრძელდება საქართველოს სამხატვრო აკადემიის რეორგანიზაცია, რომელიც ახლო ხანში დამთავრდება.

ვაგრამ პაპაზიანის ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდა სომეხთა ცნობილი ტრაღიკოსი ვაგრამ პაპაზიანი, რომელიც წარმოდგენებს მართავს რუსულ ენაზე თეატრ „ტარდ“-ში.

მომღერალ ვიქტოროვის ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის და მოსკოვის აკადემიური თეატრების მსახობი, ცნობილი მომღერალი (დრამატიული ტენორი) ვიქტორ ვიქტოროვი, რომლის გასტროლები იმართება სახელმწიფო ოპერაში.

ყარა დარვიშის იუბილე. სომეხ პოეტის ყარა-დარვიშის 30 წლის იუბილე გაიმართება მაისში.

სამუსიკო სასწავლებლი. ავლაბარში გაიხსნა სახელმწიფო კონსერვატორიის განყოფილება. მეცადინეობა სწარმოებს მე-19 შრომის სკოლაში.

„ვინ არის დამნაშავე“ ეკრანზე. რეჟისორი ალ. წუწუნავა ეკრანზე გადასაღებათ ამზადებს ნინო ნაკაშიძის ცნობილ პიესას: „ვინ არის დამნაშავე“.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ ეკრანზე. საქართველოს კინო-მრეწველობას განზრახვა აქვს ეკრანზე გადაიღოს დავ. კლდიაშვილის მოთხრობა: „სამანიშვილის დედინაცვალი“. სურათს დასდგამს ალ. წუწუნავა.

პროცენტები კინო-თეატრების ბილეთებზე. წინადადება მიეცა ა/კ. ფინასთა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი კინო-თეატრების 10 პროცენტით დაბეგვრის შესახებ.

ახალი პიესა. ახალგაზრდა პოეტმა (პროლემაფელი) კარლო კალაძემ დასწერა ახალი პიესა: „ტრაღედია ოხ“, რომელიც მოწონებულია მთავარ სახელოვნო კომიტეტის და სარეპერტუარო კომისიის მიერ. პიესა დაიდგმება რუსთაველის თეატრში.

მოსკოვის „რევოლიუციის თეატრი“ ტფილისში. საზაფხულოთ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა „რევოლიუციის თეატრი“, რომლის რეპერტუარში შეტანილია პიესები: „ლიუსის ტბა“, „ეხო“, „ადამიანი გალიაში“ და სხვა.

პეტრე სამსონიძის ლექსების კრებული. ახლო ხანში გამოვა პროლეტარული მწერლის პეტრე სამსონიძის ლექსების მეორე კრებული.

ლადო კავსაძის ხალამი. 24 მარტს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მომღერალი ლადო კავსაძის საღამო. წარმოდგენილი იქნება მხიარული ოპერეტა „ბაიადერკა“.

„პროლემაფი“. გამოვიდა პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტის სამხატვროსალიტერატურო გაზეთ „პროლემაფის“ მეორე ნომერი.

ჟურნალი „პროლემაფი“. საქართველოს სახელგამი ბეჭდავს და ამ დღეებში გასასყიდათ გამოუშვებს პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტის ჟურნალ „პროლემაფის“ პირველ ნომერს. ჟურალში იქნება დაახლოებით 160 გვერდი და ეღირება 1 მანეთი.

„ახალი ცირკი“. გამოვიდა ამიერ-კავკასიის ცირკების სამმართველოს ყოველთვიურ ორგანოს „ახალი ცირკის“ პირველი ნომერი. ჟურნალი მდიდარია წერილებით და სურათებით.

ახალი ცირკის აგება. ძმ. ტანტებმა ქალაქის აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ მათ დაეთმოს ცარიელი მიწა რუსთაველის პროსპექტზე (ყოფ. „პიკადილი“), სადაც ისინი ააგებენ ცირკის ახალ შენობას.

ვანო ხუნდაძე. ცირკის ცნობილი მსახიობი (მოჯირითე) ვანო ხუნდაძე ამ ჟამათ გამოდის პარიზის ცირკში, სადაც მას აღტაცებაში მოყავს პარიზის საზოგადოება.

ვლად. დუროვის მოწვევა თბილისში. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი თბილისში იწვევს ვლად. დუროვს, რომელმაც აქ უნდა მოაწყოს სამეცნიერო-ზოოლოგიური ბაღი. რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარის—ამხ. ლუნაჩარსკის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დუროვს მიეცეს საჭირო შვებულება.

გიმნასტ შერაის მიწვევა. გიმნასტი შერაი, რომელიც თბილისის ცირკში გამოდიოდა მიმდინარე სეზონში, მიწვეულია საქართველოს კინო-მრეწველობაში. ის მონაწილეობას მიიღებს „წითელი ეშმაკუნების“ შემდეგი სერიების გადაღებაში.

ახალი მსახიობების მოწვევა. ამიერ-კავკასიის ცირკების სამმართველო მიმდინარე წლის მაისში საზღვარ-გარეთ გზავნის თბილისის ცირკის მმართველს—ტანტს საზღვარგარეთელი მსახიობების მოსაწვევათ საზამთრო სეზონისათვის.

ფეხბურთი. 8 მარტს თბილისში გაიხსნა ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონი. პირველი შეჯიბრება მოხდა ს. ორჯონიკიძის და რუბენის სახელობის ჯგუფებს შორის. გამარჯვებული გამოვიდა (2:0) ს. ორჯონიკიძის სახელობის გუნდი.

ძმ. ტანტების იუბილე. მიმდინარე წელში სძულდება კონსტანტინე და ლეო ტანტის არტისტიული მოღვაწეობის 25 წლის თავი. საიუბილეო სანახაობა გაიმართება თბილისში. ამ დღისათვის მოწვეული იქნებიან საბჭოთა კავშირის ყველა საუკეთესო კლოუნები.

კოლია ქვარიანი. ცნობილი ქართველი მოჭიდავე კოლია ქვარიანი ამ ჟამათ გამოდის დონის როსტოვის ცირკში.

თამარა წერეთელი ამერიკაში. ცნობილი ქართველი მომღერალი ქალი (ბოშური სიმღერების შემსრულებელი) თამარა წერეთელი საგასტროლოთ მიწვეულია ამერიკაში.

ს. ს. უ. ს. პოლიგრტრესტის მე-4 სტამბა, პუშკინის № 3. მთავლიტი № 392 დაიბ. 16.000.